



National Endowment
for Democracy
Supporting freedom around the world



ისლამი, პოლიტიკა და იდენტობა პანკისში

სოფო ზვიადაძე

Islam, Politics, and Identity in Pankisi
Sophie Zviadadze

Working Paper

Caucasus Institute for Peace, Democracy and Development
მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

თბილისი 2016

სოფო ზვიადაძე. *ისლამი, პოლიტიკა და იდენტობა პანკისში*

კვლევა და პუბლიკაცია მომზადებულია მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის მიერ დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნული ფონდის (NED) ფინანსური მხარდაჭერით

Sophie Zviadadze. *Islam, Politics, and Identity in Pankisi*

Research and Publication are prepared by Caucasus Institute for Peace, Democracy and Development with financial support of National Endowment for Democracy (NED)

© The Caucasus Institute for Peace, Democracy and Development, 2016

© მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2016

თბილისი, ა. წერეთლის გამზირი 72
ტელ. 2355154, ფაქსი 2355754
ვებ-გვერდი: <http://www.cipdd.org>

შესავალი

ისლამური რადიკალიზმის და ტერორიზმის თემა საქართველოს გარკვეულ პერიოდამდე მხოლოდ ირიბად უკავშირდებოდა და არ წარმოადგენდა უშუალოდ საქართველოს მოქალაქეების წინაშე არსებულ გამოწვევას წლების განმავლობაში. საქართველოსათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო გლობალური უსაფრთხოების და საერთაშორისო პოლიტიკის, „დიდი სახელმწიფოების“ გავლენების სფეროში საკუთარი პოზიციის დაფიქსირება. 90-იანი წლებიდან საქართველო, კერძოდ, პანკისის ხეობა არაერთხელ მოხვდა მსოფლიო მედიისა და პოლიტიკური საზოგადოების ყურადღების ცენტრში. „პანკისი“, „ჩეჩნები“, „ქისტები“ აქტუალურად და ხშირად მოიხსენიებოდა რუსეთ-ჩეჩნეთისა და ერაყის ომების დროს. განსაკუთრებით კი მაშინ, როცა გავრცელდა ხმები პანკისში ალ-ქაიდას წევრების სანვრთნელი ბაზის არსებობის შესახებ და 2002 წლის 23 აგვისტოს რუსეთმა, ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით, პანკისის ხეობაში, სოფლების – ომალოსა და ბირკიანას დაუსახლებელ ტერიტორიებზე ბომბები ჩამოყარა.

2014 წლიდან ვითარება მკვეთრად შეიცვალა და საქართველოსათვის პოლიტიზირებული ისლამისა და რადიკალიზმის საკითხი ახალი მასშტაბითა და შინაარსით გახდა მნიშვნელოვანი. უსაფრთხოების, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის, რელიგიის, თავისუფლებისა და სამოქალაქო კონსოლიდაციის საკითხებმა მძაფრად აქტუალური ხასიათი შეიძინა. „ისლამური სახელმწიფოს“ აღზევების ფონზე საქართველო საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენებისა და მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა: გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაემის რიგებში პანკისის ხეობიდან და მალალმთიანი აჭარიდან წასული საქართველოს 50-100 მოქალაქე იბრძოდა, მათ შორის თარხან ბათირაშვილი, ცნობილი როგორც ომარ ალ-შიშანი, რომელიც ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთ დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა.

ქისტები საქართველოში მოსახლე სხვა ეთნიკური უმცირესობებისაგან განსხვავებით, ყველაზე ინტეგრირებულ ეთნოსად ითვლება. ქართველებთან მათი ხანგრძლივი და მშვიდობიანი თანაარსებობა განპირობებული იყო ქართული ენის ცოდნით, კულტურული და ტრადიციული სიახლოვით. მიუხედავად ამისა, ეთნიკური ქისტებით დასახლებული მუსლიმი მოსახლეობის შესახებ დღესდღეობით საზოგადოების დიდმა ნაწილმა ბევრი არაფერი იცის. ხეობის ირგვლივ არსებული ცოდნა მედიის მიერ გაშუქებული ცხელი პოლიტიკური მოვლენებისაგან „დარჩენილი“ წარმოდგენებია. ამიტომ დღემდე პანკისის ხეობა ან მივიწყებული იყო, ან „საშიშ“ ტერიტორიად ითვლებოდა. კიდევ ერთი თემა, რომელიც პანკისთან მიმართებაში პერიოდულად ჩნდებოდა, ესაა დაპირისპირება ე.წ. „ტრადიციულ ისლამსა“ და სალაფიზმს (ხშირად ვაჰაბიზმად მოიხსენიებენ) შორის.

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისა და „გლობალური ისლამის“¹ აღზევების ფონზე პანკისის ხეობაში რელიგიური ტრანსფორმაციის ძირითადი თავისებურებების შესწავლის შედეგებს. იგი ეფუძნება ქისტებში ისლამური რელიგიური იდენტობის, დამოუკიდებლობის შემდეგ ამ ხეობაში პოლიტიკური ისლამის აღმავლობის მიზეზების კვლევებს და დასკვნებს პანკისთან მიმართებით სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურობის შეფასების შესახებ.

კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს პერიოდს 2015 წლის ნოემბრიდან 2016 წლის მაისამდე. პირველ ეტაპზე პანკისის რეგიონის მულტიპერსპექტიული შესწავლის მიზნით

¹ Roy, Olivier: Globalized Islam: The Search for a New Ummah, Columbia University Press, 2006

დადგინდა ხეობაში ბოლო პერიოდში მიმდინარე მოვლენების ისტორიული, კულტურული და პოლიტიკური კონტექსტი. მეორე ეტაპზე ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები საერთაშორისო ურთიერთობის, უსაფრთხოების, ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის საკითხებზე მომუშავე ექსპერტებთან. სახელმწიფოს პოლიტიკის შესაფასებლად ინფორმაციების მოპოვებისას რესპოდენტებად შერჩეულ იქნა ეროვნული უშიშროების საბჭოს, პრეზიდენტის აპარატის, პარლამენტის უსაფრთხოების კომიტეტის, შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტროს, რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტოს თანამშრომლები. რეგიონში არსებული სიტუაციის ანალიზისა და სამომავლო გეგმების გამოკვლევის მიზნით გამოკითხული იქნა საპარლამენტო ურავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლები. პანკისის ხეობაში კვლევა ჩატარდა სამ სოფელში (დუისი, ჯოყოლო და ბირკიანი). სამიზნე ჯგუფებად არჩეულ იქნა პანკისელი ახალგაზრდები, იმამები, უხუცესთა საბჭოს წარმომადგენლები, მასწავლებლები. გამოკითხულ იქნა როგორც ტრადიციული ისლამის, ასევე სალაფიზმის მიმდევარი ქისტები.²

1. ქისტები საქართველოში – მოკლე ისტორიული მიმოხილვა

პანკისის ხეობაში მოსახლე ქისტები (ვაინახები) ეთნიკურად და ენობრივად ჩეჩნების მონათესავე ხალხია³. ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, ჩეჩენ-ინგუშებს – კავკასიის უძველეს ტომს, ქართველებთან კულტურული, ენობრივი და სოციალურ-ეკონომიკური ერთობა აკავშირებდა.⁴ ჩეჩენ-ინგუშები XIX საუკუნის 30-იან წლებამდე ახლანდელი ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. დღევანდელი ქისტები მათი შთამომავლები არიან. ისინი საქართველოში ჩრ. კავკასიიდან დაახლოებით 1826 წელს ჩამოსახლდნენ. კომპაქტურად დამკვიდრების პროცესი ამავე საუკუნის 60-იან წლებში დასრულდა. ეს ხალხი საკუთარ თავს ვაინახს უწოდებს. „ქისტი“ ქართველთა მიერ შემოღებული ეთნიკური შინაარსის სიტყვაა. დღევანდელი პანკისის ხეობაში შემდეგი სოფლებია: ძიბახევი, ბირკიანი⁵, ჯოყოლო, დედისფერული (კაკლიანი), დუისი⁶, ყვარელწყალი, კუნახტა, საკობიანო და ბაყილოვანი, ომალო, დუმასტური, ქვემო ხალანანი, შუა ხალანანი, ზემო ხალანანი, წინუბანი, ქორეთი, ბანარა, ტოლოშა, ცქვიტაძე, ბალთაგორი, ჩხათანა, ხორაჯო, ხადორი, სუბუქი, ქორთაბუდე და ღვიმე.⁷ ამჟამად ქისტები ჭარბობენ რვა სოფელში.⁸ ისინი საუბრობენ ქართულად და ქისტურად. 2014 წლის მონაცემებით, პანკისის ხეობის მოსახლეობის საერთო რაოდენობა ათი ათასზე მეტია⁹.

² ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდნენ სოფელ დუისის და ჯოყოლოს ახალგაზრდები 15-დან 25 წლამდე.

³ ვრცლად პანკისის ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული სურათისათვის და ქართველებისა და ქისტების ურთიერთობის შესახებ იხ. მარგოშვილი ლეილა, პანკისის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა), თბილისი, 2002

⁴ მარგოშვილი ლეილა: პანკისის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა), თბილისი, 2002, 15-20

⁵ სოფ. ბირკიანი თუშების ყოფილი სოფელია.

⁶ ქისტების პირველი ტალღა დასახლდა სოფ.პანკისში (ქისტურად პენგიზ), დღევანდელ სოფელი დუისში

⁷ მარგოშვილი ლეილა: პანკისის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა), თბილისი, 2002, 41f

⁸ სხვა მონაცემებით, ქისტებით დასახლებულია ექვსი სოფელი: დუისი, ჯოყოლო, ძიბახევი, ომალო, ბირკიანი და შუახალანანი.

⁹ <http://census.ge/ge/results/census>



1. ასმეტის რაიონი – პანკისის ხეობა

პანკისში ქისტები ნათესაური პრინციპის, გვარების (თეიფები) მიხედვით დასახლდნენ.¹⁰ სამშობლოს დატოვების მთავარი მიზეზები იყო ეკონომიკური ფაქტორი და საბრძოლო ვითარება ჩრდილო კავკასიაში. საქართველოში გადმოდიოდნენ სისხლის ალების წესს გარიდებულები, თემიდან მოკვეთილები და ჩეჩნური წინააღმდეგობის წევრები (რომლებიც არ ურიგდებოდნენ მეფის რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკას¹¹), ასევე ისინი, ვინც უარი თქვა ისლამის მიღებაზე და შამილს გამოექცა.¹² ზოგიერთ ისტორიულ წყაროში შემონახულია ცნობები იმის შესახებ, რომ ქისტური ეთნიკური ჯგუფები საქართველოს ტერიტორიაზე XIX საუკუნემდეც სახლობდნენ¹³. სხვადასხვა დროს ჩეჩენ-ინგუშებით დასახლებული ტერიტორია საქართველოს საზღვრებში იყო. ენობრივი სიახლოვე (იგულისხმება კავკასიურ ენათა ნათესაობა), ასევე კულტურული და სოციალური ურთიერთობები აახლოვებდა ვაინხებს და ქართველებს¹⁴. ლ. მარგოშვილის აზრით, ქისტებსა და ქართ-

¹⁰ სანიკიძე, გიორგი: ისლამი და მუსლიმები თანამედროვე საქართველოში, თბილისი, 1999, 45 იხ. ასევე Sanikidze, George / Walker, Edward W.: Islam and Islamic Practices in Georgia, Berkeley Program in Soviet and Post-Soviet Studies, Working Paper Series, University of California: Berkeley, 2004

¹¹ სანიკიძე 1999, 45

¹² მარგოშვილი 2002, 29

¹³ ქართულ წერილობით წყაროებში ვაინახური ტომები კავკასიანებად ან დურძუკებად/ძურძუკებად მოიხსენიებიან, მოგვიანებით ეს ეთნონიმი კონკრეტულად ჩეჩნებს დაუკავშირდა. ინგუშების აღსანიშნავად გვხვდება სიტყვა – ლლიღვი. „ქისტნი, ლღვინი და ძუეძუკნი პირველ იყვნეს ენისა ქართულითა მომზრახნი და ქრისტიანნი...ვიდრე თემურლენგამდე“, ბატონიშვილი, თეიმურაზ: ისტორია დანაყებთგან ივერიისა, ეს იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა, სანკტ-პეტერბურგი 1848, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/65894/1/Teimuraz_Batonishvili_Istoria.pdf

¹⁴ პანკისში დასახლებულთა ქისტური გვარების ძირი ჩეჩნურ-ინგუშური სახელებია, რომელსაც ბოლოში დამატებული აქვს ქართული „შილი“

ველ მთიელებს შორის, ადგილი ჰქონდა კულტურათა დიფუზიას.¹⁵ XIX საუკუნეში გადმოსახლებული ქისტები მალე გახდნენ ორენოვანი, რის შედეგადაც ქისტურმა (ჩეჩნურმა) ენამ პანკისში განიცადა ფონეტიკური, მორფოლოგიური და ლექსიკური ცვლილებები. ახალმოსახლეებს ჩეჩნეთიდან ჩამოჰყავდათ ოჯახები და სახლდებოდნენ მიწებზე, რომელსაც იჯარით აძლევდნენ ქართველი თავადები. ამ უკანასკნელთ მეზობლი მთიელები ესაჭიროებოდათ დაღესტნიდან და აზერბაიჯანის სახანოდან გადმოსული მძარცველებისაგან საქართველოს საზღვრების დასაცავად. ქისტები თადაპირველად ცხოვრობდნენ სამ სოფელში, რომელთაგან დუისი დასახლებული იყო მუსლიმებით, ჯოყოლა და ომალოკი – ქრისტიანებით. XX საუკუნეში ქისტები სოფელ ბირკიანშიც დამკვიდრდნენ. ომალოს,¹⁶ ჯოყოლოსა და ბირკიანის მაცხოვრებლები 1960 წლამდე (სხვა მონაცემებით, II მსოფლიო ომამდე) ქრისტიანები იყვნენ. სოფ. ბირკიანის მოსახლეობაში დღემდე არიან მართლმადიდებლები. სოფ. ჯოყოლოსა და ომალოში ისლამზე მოქცევა 70-იან წლებში დაიწყო.¹⁷ ისტორიულად პანკისის ხეობა გაყოფილი იყო ორ ნაწილად – დუისის და ჯოყოლოს თემებად. თითოეულს თავიანთი მამასახლისი ჰყავდა, რომლებიც საზოგადო კანონებით ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ მთავრობის ნებართვით ისინი ზოგიერთი საკითხის განსჯისას მამაპაპურ წეს-ჩვეულებებს ეყრდნობოდნენ.¹⁸ პანკისში მცხოვრებ ქისტებში XX საუკუნის ბოლომდე გავრცელებული იყო ადათობრივი სამართალი. შარიათი რაიმე როლს პრაქტიკულად არ ასრულებდა. იშვიათი იყო პანკისში მრავალცოლიანობა.¹⁹

ჩამოსახლებული ჩეჩენ-ინგუშების რელიგიურობა სინკრეტული იყო, რაც გამოიხატებოდა წარმართობის, ქრისტიანობისა და ისლამის ერთგვარ სინთეზში.²⁰ ისლამი ჩრ. კავკასიაში გვიან გავრცელდა, ამიტომ ქისტები არ ყოფილან ისლამის მყარად მიმდევრები.²¹ ჩრ. კავკასიაში ისლამის გავრცელება უკავშირდება სუფიური მოძღვრების, მიურიდიზმის (თარიყათი) გავრცელებას. მის საფუძველზე წარმოიშვა ნაყშბანდის ორდენი. ამ უკანასკნელს ზოგჯერ შარიათის სექტასაც უწოდებდნენ, რადგან გასაკუთრებით მკაცრად იცავდა შარიათის წესებს.²² ნაყშბანდიას პარალელურად XIX საუკუნის დასაწყისში ჩრ.კავკასიაში სწრაფი ტემპითა და სიძლიერით გავრცელდა ქუნთ-ჰაჯის მოძღვრება (ე.წ. ყაადირის (კადირიას) ორდენი).²³ მისი მიმდევრები კვირაში ერთხელ იკრიბებოდნენ და

¹⁵ მარგოშვილი, 2002, 26

¹⁶ ეკლესია ომალოში მე-20 საუკუნის 60-იან წლებში აშენდა.

¹⁷ სანიკიძე, გ. 1999, 44, მარგოშვილი, 2002, 177

¹⁸ მარგოშვილი, ლეილა: პანკისელი ქისტების წეს-ჩვეულებები და თანამედროვეობა, თბილისი, 1985, 67

¹⁹ სანიკიძე 1999, 50 „ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც პიროვნებას სახელმწიფო სასჯელის მოხდის შემდეგ ადგილობრივი ადათობრივი სამართლის წესების მიხედვით ასამრთლებდნენ“ იგ., 50

²⁰ გადმოსახლებულთა შორის ბევრი იყო ქრისტიანი (უმეტესად ინგუშები), ისინი უფრო მეტად სოფლურ (პაგანიზმზე) ქრისტიანობას მისდევდნენ, თუმცა ადრე იქ ეკლესიურ-კანონიკური ქრისტიანობაც საკმაოდ ფესვგადგმული ყოფილა, მაგ. ინგუშებში.

²¹ ტრადიციულად, საბჭოთა კავშირში მცხოვრები სუნიტი მუსლიმები მიეკუთვნებიან ჰანაფიტურ სკოლას. ამასთან ერთად არსებობს სუფიური და სხვა მიმდინარეობები, Bennigsen, Alexandre / Wimbush, Enders, *Muslims of the Soviet Empire: A Guide*, Bloomington: Indiana University Press, 1986.

²² მარგოშვილი, 2002, 173

²³ ქუნთა ჰაჯი კიშიევი (1830-1867) – ჩეჩენი ხალხის ფილოსოფიური და რელიგიური მოზროვნე და პოლიტიკური ფიგურა. იგი იყო კადირიელების სუფიურ ორდენში. მან დაარსა სუფიზმის განშტოება „ზიქრიზმი“. მექაში მოლოცვის შემდეგ კავკასიაში ის იწყებს თავისი მოძღვრების ქადაგებას. იმამ შამილის მიერ გამოცხადებული ჰაზავათის საღვთო ომის საპირისპიროდ ქუნთა ჰაჯი კიშიევი ქადაგებდა სულიერ თავისუფლებას, ბოროტებაზე ბოროტებით პასუხზე უარის თქმას და გამობდა ომს, ძალადობას. მას ჩეჩენ მაჰათმა განდსაც უწოდებენ. 1864 წლის 3 იანვარს ქუნთა ჰაჯი კიშიევი თავის თანამოაზრეებთან ერთად რელიგიური მოღვაწეობისათვის პირადად მიხილ რომანოვის ბრძანებით დააპატიმრეს და გადაასახლეს ნოვგოროდის ოლქში. მისი მოძღვრება ეყრდნო-

ნამაზის ლოცვის შემდეგ გაუნძრევალდ ასრულებდნენ „ზიქრს“²⁴. ამ მიმდინარეობას ზიქრიზმსაც უწოდებენ. დღეს ეს ტრადიცია სალაფიტების მიერ მიჩნეულია არაისლამურად და პაგანიზმის გადმოანშთად. ქუნთ-ჰაჯის მიმდევრები თავიანთ თავს მიუხრდივად მოიხსენიებენ.²⁵ როგორც ჩრდილო კავკასიელ ჩეჩნებში, ასევე პანკისელ ქისტებში ისლამის მიღება იყო ერთგვარი ფარი ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისათვის.²⁶ ორ სუფიურ ორდენს შორის ქისტებში ყველაზე მეტი მიმდევარი ჰყავდა ქუნთა ჰაჯი კიშიევის (ქუნთ-ჰაჯის) ორდენს. მას ხეობაში „ტრადიციულ ისლამს“ უწოდებენ. ამ მიმდინარეობაში იქმნებოდა მრავალი საძმოდ და ქალთა ორდენიც კი. დღეს პანკისში ნელ-ნელა ქრება ეს ტრადიცია, მაგრამ უხუცესები, მათ შორის ქალები, ჯერ კიდევ ასრულებენ „ზიქრს“²⁷ XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის პოლიტიკა – ქრისტიანობა გაევრცელებინა კავკასიის მთიელებში, პანკისსაც მოიცავდა. 1866 წელს ჯოყოლოსა და ომალოს მოსახლეობამ ქრისტიანობა იძულებით მიიღო.²⁸ აშენდა მართლმადიდებლური ტაძარი, სადაც ლოცულობდნენ, როგორც ქართველი მთიელები, ასევე ჩეჩნებიც. 1891 წელს სოფ. ჯოყოლოში გაიხსნა ერთკლასიანი სამრევლო სკოლა. აქ პირველი მასწავლებელი იყო ეკლესიის მღვდელი მათე ალბუთაშვილი.²⁹ მან დაუდო სათავე პანკისში მცხოვრები ქისტების ყოფა-ცხოვრების შესწავლას.

„ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების“ მისიონერობის პარალელურად ძლიერდებოდა ისლამიც, რომელიც ქისტებისთვის რუსული იმპერიისაგან თავდაცვისა და იდენტობის შემანარჩუნებელი ფაქტორი გახდა. 1902 წელს სოფელ დუისში აიგო მეჩეთი და ის სულ მალე ჩრდილო კავკასიაში პოპულარული სუფიური ორდენის ცენტრად იქცა.

XX საუკუნის დასაწყისში ქისტების სოფლებში ისლამის ქადაგების ახალი ტალღა წამოვიდა. ათიან წლებში ჩეჩნეთიდან, აზერბაიჯანიდან ჩამოდიოდნენ არაბულის მცოდნე მოღვაწეები, რომლებიც ისლამს ქადაგებდნენ და სოფ. დუისში მუსლიმთა რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა.

ბოდა ადგილობრივ ადათ-წესებს და ამდენად უფრო ახლო იყო ჩეჩნებისათვის. ამ მოძღვრების მიმდევრები ძირითადად პანკისელი ქისტები იყვნენ. ქუნთა ჰაჯი კიშიევის ყველა სულიერ მემკვიდრეს სწამს, რომ არის ერთ-ერთი 360 წმინდანთაგანი და რომ სამყაროს დასასრულის წინ იგი იესო ქრისტესთან ერთად მოევილინება დედამიწას, გაანადგურებს სატანურ ძალებს და დაამყარებს მშვიდობასა და კანონიერებას. **Akaev, Vakhit: Religious–Political Conflict in the Chechen Republic of Ichkeria, <http://www.ca-c.org/dataeng/05.akaev.shtml>** ბოლო ნვდომა: 30.09.2016

²⁴ „ზიქრ“ არაბული სიტყვაა და „ხსენებას“ ნიშნავს. იგულისხმება უფლის გახსენება და მისი სახელის – „ალლაჰის“ მუდმივი განმეორება.

²⁵ მეფის რუსეთი ებრძოდა ქუნთ-ჰაჯის მიმდევრებს, კრძალავდა რიტუალების შესრულებას

²⁶ მეფის რუსეთი ცდილობდა ჩრ.კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელებას, აგზავნიდა მისიონერებს, გაქრისტიანებულთათვის აწესებდა გარკვეულ საგადასახადო შეღავათებს. მიმდინარეობდა მოსახლეობის იძულებით გაქრისტიანების პროცესიც. როდესაც ჩრდილო კავკასიას რუსეთის ჯარები მიადგნენ, ადგილობრივმა ტომებმა თავიანთი ყურადღება ისლამისაკენ მიაპყრეს.

²⁷ ქისტი ქალების ანსამბლი „აზნაში“ ასრულებს ჩეჩნურ ტრადიციულ სიმღერებს და გალობას.

²⁸ სანიკიძე 1999, 46

²⁹ მათე ალბუთაშვილი (1863-1953) აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ "ივერიისა" და „მოგზაურის“ რედაქციასთან, აქვეყნებდა წერილებს პანკისის ხეობის შესახებ. ქისტების ერთ-ერთი განმანათლებელი იყო საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი *იუსუფ მარგოშვილი (1894-1973)*. მან დააარსა სოფელ დუისში პირველი საშუალო სკოლა, სადაც ათეული წლების მანძილზე ემსახურა ქისტი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. მშობლიურ ენასთან ერთად მან შესანიშნავად იცოდა ქართული, რუსული, არაბული და სპარსული ენები. ჩეჩნური ენაზე თარგმნა და 1961 წელს ქ.გროზნოში წიგნად გამოსცა ალ .ყაზბეგის მოთხრობები: "ელისო", "ციცია" და "მამისმკვლელი".

საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921 წ) ქისტები ოფიციალურად გახდნენ საქართველოს მოქალაქეები. მოგვიანებით მათ ქართული გვარები მიიღეს (ხშირ შემთხვევაში ეს არის ქისტური სახელის ფუძეზე დამატებული დაბოლოება „შვილი“). ბევრი ქიტი დღეს ორმაგ სახელს ატარებს – ჩეჩნურსა და ქართულს. ოქტომბრის რევოლუციისა და საქართველოს გასაბჭოების შემდეგ პანკისში დაიხურა ეკლესია და მეჩეთიც. საბჭოთა პერიოდში 1927 წელს მაჩიგ მაჩალიკაშვილის მიერ დაარსებული ქუნთ-ჰაჯის ორდენის წევრები მეჩეთში ველარ იკრიბებოდნენ და მხოლოდ შარიათის ნორმების შესრულებით შემოიფარგლებოდნენ.³⁰ მრავალი სუფი სასულიერო პირი დააპატიმრეს, გააციმობირეს. ზოგიერთი მკვლევარის და, უპირველეს ყოვლისა, ვაინახების აზრით, ქართველების წყალობით პანკისელ ქისტებს II მსოფლიო ომის დროს სტალინური რეპრესიები არ შეხებიათ და ცენტრალურ აზიაში გადასახლებას გადაურჩნენ.³¹

საბჭოთა პერიოდში მოსახლეობა რელიგიურ რიტუალს სახლში ასრულებდა. მათ შეინარჩუნეს ჯვარ-ხატების თაყვანისცემის ტრადიცია, რომელსაც მე-20 საუკუნის ბოლომდე მისდევდნენ. 60-იანი წლების „დათბობის პერიოდს“ პანკისში მოჰყვა სასულიერო ცხოვრების აღმავლობა. 1969 წელს ხელისუფლების ნებართვით დუისში მეჩეთი ხელახლა გაიხსნა. ამ პერიოდიდან ქისტების მასობრივი ისლამიზაცია დაიწყო. აღდგა ქუნთ-ჰაჯის და ნაყბანდიას ორდენები და გაიზარდა მათ მიმდევართა რაოდენობა. ყოველივე ამას ბუნებრივად მოჰყვა ქისტების კონსოლიდაცია და გაერთიანება.

ქისტები პანკისის ხეობაში 90-იანი წლების ბოლომდე ინარჩუნებდნენ სინკრეტულ რელიგიურობას. „ამჟამად მაჰმადიანები ვართ, მაგრამ ჩვენ არ გვძულს ქრისტეს რწმენა. ისინი ძმები არიან. რაც მთავარია, ღმერთი – ალაჰი ხომ ერთია. ჩვენი მამა-პაპები კავკასიაში მიღებული სამივე რწმენის მოზიარენი იყვნენ“.³² მე-20 საუკუნეში გრძელდებოდა ქართველებთან სოციალური და კულტურული ურთიერთობა, ძმადნაფიცობა, ქორწინება, ნათლობებსა და სხვადასხვა დღესასწაულებში ურთიერთ მიპატიჟება. აქ გვხვდებოდა გაზიარებული რელიგიური ტრადიციები. მუსლიმი ქისტები მარხვაში ქრისტიანების მსგავსად არ ჭამდნენ ხორცს.³³ ისინი, ისევე როგორც ქართველები, ვაზის მოშენებას მისდევდნენ, სვამდნენ ღვინოს. პანკისელი ქისტები ტრადიციულად რელიგიურ დღესასწაულებზე სალოცავად დადიოდნენ ალავერდის და თეთრი გიორგის (ანყურის) მონასტრებში.

ამრიგად, ხეობაში ჩამოყალიბდა სინკრეტული კულტურა, სადაც შერწყმული იყო მთიელ ხალხთა ადათ-წესები, ხალხური ქრისტიანობა და ისლამური (სუფიური) ტრადიციები.

³⁰ მარგოშვილი, 2002, 181

³¹ 1944 წელს სტალინის ბრძანებით ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ გაუქმდა მის ნაცვლად შეიქმნა გროზნოს ოლქი ახალი საზღვრებით. ჩეჩნები, ინგუშები და სხვა კავკასიელი ხალხები გერმანელებთან თანამშრომლობის ბრალდებით გადაასახლეს ცენტრალურ აზიაში.

³² მარგოშვილი, 2002, 182

³³ მარგოშვილი, 2002, 181

2. პოლიტიკური ტრანსფორმაციის რამდენიმე საკითხი პანკისში

პანკისის ხეობის რელიგიური და პოლიტიკური ცხოვრების ახალი ისტორია საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ იწყება. სამოქალაქო ომის და ეთნიკური კონფლიქტების ფონზე ხელისუფლებას დავინწყებული აქვს ეს მხარე. ეკონომიკური სიდუხჭირის გადასალახად მრავალი ქისტი სამუშაოდ მიდის რუსეთში, ჩეჩნეთში და პანკისელი ქისტები უშუალოდ ერთვებიან იქ მიმდინარე პოლიტიკურ და რელიგიურ პროცესებში. ჩრ. კავკასიაში 90-იანი წლებიდან ღია დაპირისპირებაა „სუფთა ისლამის“ (სალაფიზმისა და ვაჰაბიზმის) და სუფიური (ტრადიციული) ისლამის მიმდევრებს შორის. პანკისში ჩატარებული კვლევის ფარგლებში რესპოდენტები სწორედ ამ პერიოდის მიგრაციას უკავშირებენ ხეობაში „ახალი რელიგიური იდეების“ დანერგვას. „*მამაჩემი რომ დაბრუნდა, მოგვთხოვა, თავზე დაგვეხურა... აღარ სვამდა ალკოჰოლურ სასმელებს*“ – იხსნებს ერთ-ერთი რესპოდენტი.

პანკისში რელიგიური და კულტურული სურათის მკვეთრი ცვლილების თარიღის დაკონკრეტება რთული არ არის. ეს არის 1999 წელი, როცა რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომის დროს ხეობაში ჩამოვიდა ათი ათასზე მეტი ჩეჩენი ლტოლვილი³⁴, რომლებიც უმეტესად სალავიზმის მიმდევრები იყვნენ. ეს მოძღვრება „სუფთა ისლამს“ ქადაგებდა და მიუღებლად თვლიდა სხვადასხვა ტრადიციების გაზიარებას, ისლამის განახლებას.

შევარდნაძის მმართველობის პერიოდი – “პანკისის ხეობა ღმერთის ანაბარა”

პანკისი ადმინისტრაციულად მიეკუთვნება კახეთის რეგიონის ახმეტის მუნიციპალიტეტს. მთებით შემოსაზღვარული, იზოლირებული ხეობის ჩრდილოეთით რუსეთის ფედერაცია მდებარეობს. გეოგრაფიული მახასიათებლები წლების განმავლობაში აისახებოდა პანკისის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე. 1990-იანი წლებიდან ხეობაში დასახლდნენ ჩეჩნეთის პირველი ომის შედეგად იძულებით დევნილი ჩეჩენები. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის 2004 წლის ყოველწლიური სტატისტიკის მიხედვით, ჩეჩნეთის პირველი ომის შემდეგ რუსეთის ფედერაციიდან დაახლოებით 8000 ჩეჩენი ლტოლვილი გადმოვიდა საქართველოში³⁵ – პოლიტიკურად არასტაბილურ ქვეყანაში. შევარდნაძის პერიოდში პანკისი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც უკონტროლო რეგიონი, რომელიც ერთ-ერთი ქისტი რესპოდენტის სრულიად სამართლიანი შეფასებით, „მხოლოდ ღმერთის ანაბარა იყო დარჩენილი“.

2001 – 2002 წელს ხეობა იარაღითა და ნარკოტიკით ვაჭრობის ბუდედ გადაიქცა, დათარეშობდნენ კონტრაბანდისტული ბანდები. პანკისი ჩაიკეტა ყველასათვის (ეს არ ეხებოდა მუდმივ მაცხოვრებლებს). შესასვლელ გზებზე იყო საკონტროლო პუნქტები, სადაც ქართული ჯარი და ქისტების სახალხო ლაშქარი იდგა. ერთ-ერთი ადგილობრივი ასე იხსნებს იმ პერიოდს: „*მარტო მაღლა ღმერთი, დაბლა მე და ის ახალგაზრდობა – 20-25 კაციანი რაზმი,*

³⁴ რუსეთ-ჩეჩნეთის I ომის დროს, 1994 წელს პანკისში სამხრეთ ჩეჩნეთიდან ჩამოვიდნენ ლტოლვილები. ომის დამთავრების შემდეგ ბევრი მათგანი უკან დაბრუნდა.

³⁵ რუხაძე, ოქროპირ: საქართველოს ხელისუფლება პანკისის ხეობის პრობლემის მოგვარებას ცდილობს, რადიო „თავისუფლება“, 18.01.2002, <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1518280.html> ბოლო წვდომა: 30.09.2016

რავი, მთელ ამ ხეობას ვუვლიდით გარშემო, დღე და ღამე ვყარაულობდით, რავი, უკანა ფშავიდან, დუშეთიდან, გუდამაყარიდან, თიანეთიდან და პერიფერიებში მდებარე სოფლებიდან დიდძალი, აუარებელი დატაცებული პირუტყვი შემოჰყავდათ. აი, ამ რვა თვის განმავლობაში მათგან ჩამორთმეული და უკან პატრონებისთვის დაბრუნებული მაქვს 84 მარტო მსხვილფეხა პირუტყვი, 84, აი ჟურნალი მაქვს... 100 სულამდის... უკლებლივ დავუბრუნე უკან პატრონებს. მანქანები შემოჰყავდათ თელავიდან, ახმეტიდან... შემომსვლელ-გამსვლელს ვაკონტროლებდით, არცერთს აღარ ვუშვებდით. 7-8 მანქანა მაქვს ჩამორთმეული და დაბრუნებული...³⁶

პანკისის ხეობას ჩეჩნეთის მეორე ომის დროს, გარდა ლტოლვილი მშვიდობიანი მოსახლეობისა, თავს აფარებდნენ მეომრები, ე.წ. „ჩეჩენი ბოვიკები“. ამგვარად, პანკისის ხეობა 2000-2002 წლებში ჩეჩენი და დაქირავებული უცხოელი მეომრების თავშესაფრად იქცა. ჩეჩნეთის პრობლემატიკის ექსპერტების აზრით, საქართველოს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ე.წ. „ჩეჩნური წინააღმდეგობის მოძრაობის“ სიცოცხლისუნარიანობისათვის. ამ პერიოდში საქართველო ხშირად განიხილებოდა, როგორც მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო არტერია იჩქერიის თავისუფლებისათვის მებრძოლთათვის.³⁷

რუსეთმა ჩეჩენი ტერორისტები დაადანაშაულა 1999 წელს მოსკოვში საცხოვრებელი სახლის აფეთქებაში, რომელმაც რამდენიმე ასეული ადამიანი შეიწირა. „მაშინდელმა რუსეთის პრეზიდენტმა – ბორის ელცინმა ჩეჩნეთზე შეტევის მიზნით შევარდნაძისაგან მოითხოვა თანხმობა რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე საქართველოს მხრიდან რუსეთის ჯარების განთავსებაზე. ჩეჩნეთის ომში საქართველოს შესაძლო ჩათრევის შიშით შევარდნაძემ მსგავს თანამშრომლობაზე უარი თქვა.

2000 წლიდან მოყოლებული რუსეთის ხელისუფლებამ საქართველო და შევარდნაძის მთავრობა არაერთხელ დაადანაშაულა საზღვრების არაეფექტურ კონტროლში. რუსეთი პანკისის ხეობას რუსეთ-ჩეჩნეთის ფრონტის ხაზზე საერთაშორისო ტერორიზმის მხარდამჭერ ბაზად მოიხსენიებდა და საქართველოს ბრალს სდებდა ჩეჩენი და ისლამისტი მოჯაჰედების პანკისის ხეობაში შეფარებასა და ტერორისტების მფარველობაში.³⁸ რუსეთი არსებულ ვითარებას უკავშირებდა საქართველოდან თავისი ჯარის გაყვანას.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ რუსეთმა ჩეჩნების მისამართით გამოიყენა ტერმინი – „საერთაშორისო ტერორისტები“. ამ პერიოდში „საქართველოს მთავრობამ რუსეთთან თანამშრომლობაზე განაცხადა უარი, ხოლო ავღანეთში ტერორისტების წინააღმდეგ ამერიკელთა სამხედრო ოპერაციისათვის საქართველოს ტერიტორიის გამოყენებაზე – მზადყოფნა“.³⁹

ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით, სიტუაცია გამწვავდა 2002 წლის ივლისში, განსაკუთრებით კი – ამავე წლის 23 აგვისტოს, როცა რუსეთმა პანკისის ხეობა დაბომბა. 2002 წელს საქართველოს ხელისუფლებამ დასვა საკითხი საერთაშორისო დამკვირვებლებისა და რუსეთის წარმომადგენლების მიერ საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერი მონაკ-

³⁶ ინტერვიუ სოლცა ქავთარაშვილთან (უხუცეთსა საბჭო პანკისში)

³⁷ მჭედლიძე, კახა: გაითამაშებს თუ არა რუსეთი პანკისის პრობლემის გამო ლიბანის სცენარს, რადიო „თავისუფლება“, 30.09.2002: <http://www.tavisupleba.mobi/a/1523663.html> ბოლო წვდომა: 1.10.2016

³⁸ ბარანი, ზეინო: ტერორიზმი და კავკასია: რუსეთი საქართველოში? სივილ ჯორჯია, 04.10.2001, <http://www.civil.ge/geo/article.php?id=169> ბოლო წვდომა: 1.10.2016

³⁹ ბარანი, 2001

ვეთის შემომნების თაობაზე, რათა გარკვეულიყო საქართველოში ტერორისტების ბანაკების არსებობის ნამდვილობა. შევარდნაძემ ღიად პროამერიკული განწყობა გამოხატა. პანკისი გლობალური ანტიტერორისტული კამპანიის ცენტრში აღმოჩნდა.⁴⁰ ამის პარალელურად ხეობაში იმატა ადამიანების გატაცებამ, ნარკობიზნესმა, იარაღით უკანონო ვაჭრობამ, მკვლევლობებმა. პანკისის მოსახლეობა თანამდებობის პირებს ჩეჩენ კრიმინალებთან თანამშრომლობაში ადანაშაულებდა და ამტკიცებდა, რომ შავი ფულით მიღებული მოგების ნაწილი უშიშროებისა და სამართალდამცავი ორგანოების მაღალჩინოსნებთან მიდიოდა. მსგავსი შეხედულებები აქვთ ექსპერტებსაც.⁴¹ შოთა უტიაშვილის აზრით, „ხეობაში საერთაშორისო ტერორისტების ყოფნის შესახებ აშკარა მტკიცებულებების მიუხედავად, საქართველოს მთავრობა მაინც ირწმუნებოდა, რომ პანკისში ყველაფერი რიგზე იყო. პარლამენტს, სასამართლო ხელისუფლებასა და მასმედიას წარმოდგენაც არ ჰქონდა იმაზე, თუ რა მასშტაბის დანაშაულის მსხვერპლი იყო ეს ხეობა. ძალისმიერი ჩარევის იდეაზე შესაბამისი უწყებები უარს ამბობდნენ და ამგვარ ქმედებებს „მეტისმეტად საშიშად“ მიიჩნევდნენ“.⁴² საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შეძლო პანკისში კანონის უზენაესობის დამყარება. მხოლოდ სიტუაციის მკვეთრად გამწვავების, რუსეთის ულტიმატუმის და აშშ-ს კრიტიკის შემდეგ საქართველო გეგმავს კონკრეტული ოპერაციების ჩატარებას. 2002 წლის 4 ოქტომბერს პრეზიდენტ ბუშთან შეხვედრის შემდეგ შეერთებულმა შტატებმა საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის ფარგლებში ანტიტერორისტული დანაყოფის მოსამზადებლად 64 მილიონი დოლარი გამოუყო. ამით აშშ-მა რუსეთს აგრძობინა, რომ პანკისის ხეობაში ტერორიზმის საფრთხეს ხედავდა და დაინტერესებული იყო მისი აღმოფხვრით.⁴³ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, 2002-2003 წლებში განხორციელებული ანტიკრიმინალური ოპერაციის შედეგად ხეობა გაიწმინდა დამანაშავეთა ბანდებისა და ჩეჩენი მეომრებისაგან.⁴⁴ რეალურად, შევარდნაძის მმართველობის პერიოდში პანკისის ხეობის უსაფრთხოების საკითხი არ გადაჭრილა. სახელმწიფოს მხრიდან სიტუაციის გაკონტროლება და მდგომარეობის გამოსასწორებლად ეფექტური ღონისძიებების გატარება ვარდების რევოლუციის შემდეგ დაიწყო.

პანკისი ვარდების რევოლუციის შემდეგ

მიხეილ სააკაშვილი და ვლადიმერ პუტინი პირველად ერთმანეთს შეხვდნენ 2004 წლის 11 თებერვალს და შეთანხმდნენ რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთის დაცვის თაობაზე. ამავე წლის ზაფხულში საქართველოს სპეციალური დანიშნულების რაზმებითა და რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის მეშვეობით პანკისის ხეობა სრულიად გაიწმინდა ბანდფორმირებებისაგან. ამ პროცესებთან დაკავშირებით პრეზიდენტმა განაცხადა: „პირველი რაც მან მოითხოვა, ეს იყო საზღვრის გამაგრება და ოპერაციის ჩატარებაში ხელშეწყობა. პუტინს ჰქონდა პრეტენზიები ედუარდ შევარდნაძის მიმართ, რომ

⁴⁰ ბარანი, 2001,

⁴¹ ინტერვიუ მამუკა არეშიძესთან (ექსპერტი კავკასიის და უსაფრთხოების საკითხებში)

⁴² უტიაშვილი, შოთა: პატარა სახელმწიფო და დიდი მეზობელი: საქართველო უსაფრთხოების ძიებაში, ყურნალი „ახალი აზრი“ 2003 5(11)

⁴³ თევზაძე, ქეთი: ღირსეული პარტნიორი – 2015, 20.05.2015: <http://georgianreview.ge/2015/05/ghirseuli-partniori/?lang=ge> ბოლო წვდომა 30.09.2016

⁴⁴ სეფაშვილი, გიორგი: უშიშროება პანკისის შესახებ საიდუმლო ინფორმაციას აქვეყნებს, სივილ ჯორჯია, 19.02.2004: <http://civil.ge/geo/article.php?id=2464> ბოლო წვდომა: 1.10.2016

მის პერიოდში საზღვრები იყო ღია, პანკისში შედიოდა იარაღი, ვერ აკონტროლებდნენ სიტუაციას. მინდა ვაღიარო, რომ ჩვენ მაშინ მართლაც დავეხმარეთ რუსეთს. დავინწყეთ მათთან ერთად ფრენები საზღვართან, აღარ შევუშვით იქ იარაღი, შევწყვიტეთ ხალხის წინ და უკან მოძრაობა. რუსეთისათვის წესრიგის დამყარებაში ხელი არ შეგვიშლია. შევექმენით სერიოზული ფაქტორი საიმისოდ, რომ მათ გაადვილებოდათ ამოცანის შესრულება.“⁴⁵

2004 წლის შემოდგომაზე პანკისი ისევ გახდა ანტიტერორისტული კამპანიის და დისკურსის ნაწილი. როგორც მამუკა არეშიძემ აღნიშნა, „პანკისი არის უარყოფითი ბრენდი, რომელიც შექმნილია წლების განმავლობაში... კრებითი ბრენდია, ასე ვთქვათ. პანკისს როცა ახსენებ, გასაგებია, რაზე ლაპარაკობ და სადღაც საფრანგეთში იქნება თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ობივატელი, რომელიც ამას კითხულობს, ან პოლიტიკოსი, ხვდება, რაზეცაა ლაპარაკი.“

რუსულ მედია პერიოდულად ავრცელებდა ცნობებს იმის შესახებ, რომ პანკისის ხეობაში ტერორისტების წვრთნები მიმდინარეობდა⁴⁶. შეიძლება ითქვას, რომ უკვე საინფორმაციო ომით ზარალდებოდა კრიმინალებისაგან „განმენდილი“ ხეობა. საქართველოს მთავრობა პერმანენტულად აკეთებდა განცხადებას, რომ პანკისის ხეობა უსაფრთხო ადგილია საქართველოში.⁴⁷ პანკისელი ქისტები ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ, რომ მათ დიდი პოლიტიკური თამაშებისთვის იყენებდნენ, „ერთხანს გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს პანკისი გამოყოფას აპირებს, მაშინ როდესაც ასეთი რამ პანკისში საერთოდ არავის მოსვლია თავში.“

ზოგადად, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სააკაშვილის ხელისუფლების პოლიტიკა და მიდგომები პანკისის ხეობის მიმართ იყო კონიუნქტურული, რაც ძირითადად ემყარებოდა ხეობაში სიტუაციის მართვას ძალის მეშვეობით.⁴⁸ პანკისის მოსახლეობაშიც გავრცელებულია შეხედულება, რომ მთავრობა აკონტროლებდა პოლიტიკურ და ფინანსურ არხებს. ამ ნეგატიურ შეფასებას სააკაშვილის პერიოდის ხელისუფლების წარმომადგენლები ხსნიან იმით, რომ მათ რეგიონში აღკვეთეს დანაშაული, „კანონი დაამყარეს“ და ეს ბევრს არ აწყობდა. ახლანდელი მთავრობა 2004-2012 წლებში არსებულ „სტაბილურობას“ განსხვავებულად აფასებს და მიაჩნია, რომ ყველაფერი უარყოფითი, რაც დღეს ხდება, „ნაციონალების მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგია“. ყველაზე ახლოს რეალობასთან ირაკლი ალასანიას შეფასებაა: „ტოტალურ კონტროლზე იყო დამყარებული წინა ხელისუფლების პოლიტიკა, ახლანდელის კი – პრაქტიკულად, ტოტალურ გულგრილობაზე.“

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ყოფილმა მთავრობამ ყველაზე კარგად იცოდა, პანკისში რაც ხდებოდა (სალაფიზმის მიმდევართა ზრდა და მათი პოლიტიზირება⁴⁹). ხელისუფლებამ თავიანთ პოლიტიკურ მოკავშირედ „ახალი მეჩეთის“ (სალაფიზმის) ხალხი აირჩია. სპეციალისტთა აზრით, მეჩეთებისა და სკოლების დაფინანსება სირიიდან და საუდის არაბე-

⁴⁵ პრეზიდენტ სააკაშვილის გამოსვლის სრული ტექსტი, 25.08.2008: <http://www.civil.ge/geo/article.php?id=19281&search>

⁴⁶ FSB: Insurgents plan to use Georgia for penetrating into Russia”, RIA-Novosti, 7 July, 2011

⁴⁷ ლიკლიკაძე, კობა: "სტრეფტორი" პანკისის ხეობას ტერორისტთა სამოთხეს უწოდებს! – საპირველაპრილო ხუმრობა თუ რეალური სტრატეგიული საფრთხე?, <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1540776.html> ბოლო ნვდომა: 1.11.2016

⁴⁸ არეშიძე, მამუკა: ვაჰაბიზმი საკმარისი ძალაა, რომ ხეობაში არაჯანსაღი მდგომარეობა შეიქმნას, კახეთის საინფორმაციო ცენტრი, 10.08.2013, <http://ick.ge/rubrics/society/15464-i.html> ბოლო ნვდომა: 1.11.2016

⁴⁹ ინტერვიუ მამუკა არეშიძესთან

თიდან ხორციელდებოდა სახელმწიფოს „ხელდასხმითა“ და „წილის მიღებით“. „უხუცესები და დანარჩენი საზოგადოებაც ვერ ხვდებოდა, რომ ამ კუთხით წავიდოდა საქმე... მაგრამ თანდათანობით ,აი, ამ ფინანსებით.... ფინანსებმა გადაწყვიტა ფაქტობრივად...“⁵⁰. ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც ტრადიციული ისლამის ერთგულია, სააკაშვილის მთავრობას ადანაშაულებს სალაფიზმის გაძლიერებაში, ანუ საუდის არაბეთთან კავშირებისათვის წინააღმდეგობის გაუწევლობასა და ამ კავშირებში მალაღმადიანების ფინანსურ დაინტერესებაში.

ექსპერტებისა და პანკისელ უხუცესთა საბჭოს წევრების მტკიცებით, სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში მოხდა უხუცესთა ინსტიტუტის დაკნინება. მათ უარი თქვეს ტრადიციულ უხუცესთა საბჭოსთან ურთიერთობაზე და აქცენტი გააკეთეს სალაფიზმის მიმდევრებზე, რომელთა ეკონომიკური მდგომარეობა ამ პერიოდში შთამბეჭდავად გაძლიერდა და, შესაბამისად, გაიზარდა მათი გავლენებიც. ეს მიმდინარეობა კიდევ უფრო მიმზიდველი და პერსპექტიული გახდა ახალგაზრდებისათვის.

საერთო ჯამში, ექსპერტებისაგან განსხვავებით, პანკისილები უფრო დადებითად აფასებენ პოლიტიკურ ცვლილებებს ხეობაში, რადგან „უკონტროლო ტერიტორია“ უსაფრთხო და სტაბილური გახდა. ხეობა გათავისუფლდა კრიმინალებისაგან, შეიარაღებული ბანდებისაგან. რა თქმა უნდა, კრიტიკის საგნად დღემდე რჩება მთავრობის „სიახლოვე“ სალაფიზმის მიმდევრებთან.

როგორც ინტერვიუებით გამოვლინდა, ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსული ხელისუფლების მიერ დამყარებული წესრიგისა და სტაბილურობის შემდეგ პანკისლებისთვის იმედგაცრუება იყო „ლაფანყურის ოპერაცია“, ლაფანყურის ე.წ. ანტიტერორისტული ოპერაცია ჩატარდა 2012 წლის 28 აგვისტოს.⁵¹ მაშინდელი მთავრობის ოფიციალური ვერსიით, მათ დაამარცხეს რუსეთიდან, კერძოდ, დაღესტნიდან შემოჭრილი ბოევიკების ბანდა. ეს მოვლენა ქისტებში ტრავმატულ მოგონებად დარჩა. „ცოტა ხანი, ერთი-ორი წელი იყო სააკაშვილის დროს სიმშვიდე, მაგრამ შემდეგ ლოპოტას ამბავი მოხდა და იფეთქა ამ შიშმა და უნდობლობამ“. ლაფანყურის მახლობლად 2012 წლის 30 აგვისტოს ქვეყნის მაშინდელმა პრეზიდენტმა თავისი სიტყვა დაამთავრა შემდეგი განცხადებით: „ლეკიანობას“ აღარ დავუშვებთ!“ მ. სააკაშვილის ამ გამოსვლითა⁵² და, ლაფანყურის ოპერაციით სახელმწიფო სტრუქტურებისადმი ნდობა პანკისის ხეობაში მკვეთრად დაეცა.

პანკისი დღეს – „პანკისი სახელმწიფო პოლიტიკის გარეშე“

2014 წელს პოლიტიზირებულმა ისლამმა და ფუნდამენტალიზმმა „ისლამური სახელმწიფოს“ სახით ახალი განზომილება შეიძინა, რის გამოც მსოფლიო კომლექსური და რთული გამოწვევის წინაშე დადგა. „გლობალური ისლამის“ საკითხი საქართველოს უშუალოდ შეეხო. პანკისი საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენებისა და მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა: გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ შეიარაღებულთა

⁵⁰ ინტერვიუ მამუკა არეშიძესთან

⁵¹ 2012 წლის აგვისტოში ლოპოტას ხეობაში ჩატარებულ ოპერაციას ქართული სპეცსამსახურების 3 წარმომადგენელი და შეიარაღებული დაჯგუფების 11 წევრი ემსხვერპლა. იხ. საქართველოს სახალხო დამცველთან შექმნილი საზოგადოებრივი საბჭოს ანგარიში: 2012 წლის 28 აგვისტოს სოფელ ლაფანყურთან, ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეციალური ოპერაციის შესახებ. 2014 წ.: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2102.pdf>

⁵² „საკაშვილი პროვოკაციის მცდელობაზე საუბრობს საზღვართან მომხდარი შეტაკების შემდეგ“, *სივილ ჯორჯია*, 31.08.2012, <http://www.civil.ge/geo/article.php?id=25887>

რიგებში პანკისის ხეობიდან და მაღალმთიანი აჭარიდან წასული საქართველოს მოქალაქეები (დაახლოებით 100 მეომარი) იბრძოდნენ,⁵³ მათ შორის თარხან ბათირაშვილი, ცნობილი, როგორც ომარ ალ-შიშანი, რომელიც ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთ დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა.⁵⁴

ამავე პერიოდში იწყება „მედია ბუმი“: პანკისის ხეობაზე გადაიციემა სიუჟეტები, რომელიც ეხება სირიაში წასულ მეზობლებს, პანკისელებს. ხეობის სახელი კვლავ დაუკავშირდა საზოგადოებისათვის „საშიშ ადგილს“, შეიარაღებულ ადამიანებს. თავად პანკისელები ინტერვიუს დროს აღნიშნავენ, რომ მედიამ ხელოვნურად მოახდინა ამ მხარის დემონიზაცია და „ხალხს ჰგონია, რომ აქ ომია და ხეობაში არავის უშვებენ“. მათივე აზრით, პანკისელები ერთ-ერთი პირველები იყვნენ, ვინც გულისტკივილი გამოხატეს ხეობიდან ახალგაზრდების სირიაში წასვლასთან დაკავშირებით.

2012 წლის შემდგომ პერიოდში პანკისისადმი მთავრობის დამოკიდებულებას შეიძლება ეწოდოს „დაგვიანებული რეაქცია“. რეგიონში სახელმწიფო პოლიტიკის დეფიციტი აშკარად თვალშისაცემია. ექსპერტებთან, სხვადასხვა ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა სტარტეგიული გეგმისა და სამომავლო პოლიტიკური ხედვის არარსებობა. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია ცალკეული ნაბიჯები, რომლებმაც ზეგავლენა მოახდინეს სიტუაციის დარეგულირებაზე. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო 2014 წლის აპრილში საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით ცვლილების შეტანა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში და ახალი მუხლების დამატება. კერძოდ, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც საქართველოს მოქალაქის მონაწილეობა სხვა ქვეყნის უკანონო შეიარაღებულ დაჯგუფებებში, ტერორისტული ორგანიზაციების წევრობა, ძალადობისა და შუღლის გაღვივებისაკენ მონოღება სისხლის სამართლებრივი ნორმებით რეგულირდება და დასჯადი ხდება. ახალი რედაქციით კოდექსს დაემატა 323.2 მუხლი (საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობა), 327.1 მუხლი (ტერორისტულ ორგანიზაციაში განევრიანებისათვის გადაბირება), 328 მუხლი (უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანება ან ტერორისტულ საქმიანობაში მათთვის დახმარების განევა) და მუხლი 330.1 (საქვეყნოდ მონოღება ტერორიზმისაკენ).⁵⁵

შეიძლება ითქვას, სამართლებრივი ინიციატივა შედეგიანი იყო. 2015 წლის 14 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჩაატარა მასშტაბური სპეცოპერაცია და დააკავა აიუფ ბორჩაშვილი, რომელსაც ბრალი ედება ხეობაში ახალგაზრდების რეკრუტირებასა და სირიაში გადაყვანაში. ადგილობრივებისა და ექსპერტები აზრით, ამ ფაქტმა იმოქმედა და ხეობაში შეაფერხა რეკრუტირება.⁵⁶ ექსპერტები ინტერვიუში აღნიშნავენ, რომ კანონის მიღებისა და ბორჩაშვილის დაჭერის შემდეგ გადინება შემცირდა. სხვა ქვეყნის სამხედრო დაჯგუფებებში გაერთიანების შეზღუდვის შესახებ კანონს ექსპერტები და ყველა პარტიის

⁵³ Bureau of Counterterrorism, Country Reports on Terrorism 2014, <http://www.state.gov/documents/organization/239631.pdf>

⁵⁴ აშშ-მა ბათირაშვილი ტერორისტთა სიაში შეიყვანა.ლიკვიდაცია მოხდა 2016 წლის მარტში.

⁵⁵ საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, 04.04.2014, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2319468>

⁵⁶ პარალელურად მოხდა გიორგი კუპრაშვილის დაკავება თბილისში, რომელსაც ბრალი წაუყენეს უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანებასა და ტერორისტულ საქმიანობაში დახმარებისათვის. 2015 წლის 22 ნოემბერს ასევე ტერორიზმის ბრალდებით დააკავეს დავით ბორჩაშვილი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდი, 15.04.2015: <http://police.ge/ge/shss-m-terroristul-organizatsiashi-gatsevrebisatvis-gadabirebis-utskho-qveknis-terroristul-organizatsiashi-gaertianebis-da-terroristul-saqmianobashi-dakhmarebis-braldebit-otkhi-piri-daakava/8360>

წარმომადგენლები ცალსახად დადებითად აფასებენ. „ისლამურ სახელმწიფოში“ ახალგაზრდების რეკრუტირების საკითხთან დაკავშირებით ხელისუფალთა მიერ მიღებული ზომები ნამდვილად დროული და ეფექტური აღმოჩნდა.

სახელმწიფო მოხელეებმა ნაკლებად იცინ ხეობაში მიმდინარე პროცესები, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რელიგიური ტრანსფორმაციის, მოსახლეობის პოლიტიკური კულტურის თავისებურებები და სხვა პრობლემები. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ხეობაში განათლების სამინისტროს ყველაზე ნაკლები ჩართულობა. არ არსებობს სპეციალური პროგრამა ან სამოქმედო გეგმა, რომელიც უშუალოდ ამ რეგიონის თავისებურებებზე იქნებოდა ორიენტირებული. საგანმანათლებლო ღონისძიებები პანკისის ხეობაში მთლიანად არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტების ფარგლებში ხორციელდება⁵⁷. მიუხედავად მათი წარმატებისა, ასეთი პროექტების მდგრადობა სხვადასხვა ფონდებით უზრუნველყოფილ დაფინანსებაზეა დამოკიდებული. სახელმწიფოს ჩართულობით გაცილებით მეტ მოსწავლე-ახალგაზრდას მიეცემა საშუალება, მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო აქტივობებში.

მთავრობის პოლიტიკა და ადგილობრივი მოსახლეობის განწყობები ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგოა. მაგალითად, რელიგიის საკითხთა სააგენტოსა და სხვა ექსპერტების აზრით, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შეუძლია იყოს საქართველოში მცხოვრები მუსლიმების წარმომადგენელი. პანკისში კი მიუღებლად მიაჩნიათ ამ სამმართველოს ქვეშ გაერთიანება. ამას რელიგიური მიზეზებიც აქვს (სალაფიზმისა და შიიზმის მიდევრები ვერ იქნებიან ერთი სამმართველოს წევრები) და პოლიტიკურიც (სააგენტოს და სამუფთოს მიმართ არ არის ნდობა და ისინი სახელმწიფოს მხრიდან მაკონტროლებელ ორგანიზაციად აღიქმება). რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობაში შეიმჩნევა სურვილი, რომ პრობლემა მოგვარდეს და პანკისი არ იყოს ტერორიზმთან გაიგივებული მხარე,⁵⁸ მაგრამ სააგენტოს საქმიანობა არაეფექტურია, რადგან მათ მიერ შერჩეული სამოქმედო გეგმა სალაფიტური თემის კონტროლს ემყარება და არა დიალოგის ახალი გზების გამონახვას. სალაფიზმის მიმდევრებს დღეს ამბივალენტური დამოკიდებულება აქვთ მთავრობის მიმართ. ერთი მხრივ, ისინი გულწრფელად გამოსატყვევებ სურვილს, იყვნენ „საქართველოს სრულფასოვანი მოქალაქეები“, მეორე მხრივ, კი არ ენდობიან პოლიტიკოსებსა და ჟურნალისტებს. ამ უნდობლობის ტენდენციას შეუწყო ხელი არასწორმა სახელმწიფო პოლიტიკამ და ქართულ საზოგადოებაში არსებულმა დაბალმა სამოქალაქო ცნობიერებამ, მუსლიმური თემის მიმართ

⁵⁷ ყველაზე სტაბილურად და ხანგრძლივად მუშაობს დუისის საგანმანათლებლო ცენტრი, რომელსაც აფინანსებს კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი (KRDF). იგი დაარსდა 2008 წელს და აგრძელებს ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს მიერ განხორციელებულ პროგრამებს (ლტოვლითა დახმარება, იურიდიული კონსულტაცია, პროფესიული განათლების მიღება, უცხო ენების, კომპიუტერის შესწავლა). ფონდის საქმიანობა ხორციელდება გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (გლუკი) ფინანსური მხარდაჭერით. აღნიშნული დაფინანსება შეიცავს მნიშვნელოვან კომპონენტს ევროკომისიის პროგრამიდან „მიგრაცია და თავშესაფარი“, <http://www.krdf.ge/>

2015 წლიდან ბრიტანეთის საელჩოს დახმარებით მიმდინარეობდა რამდენიმე პროექტი, ძირითადად ეს არის ენის, კომპიუტერის შემსწავლელი, აბიტურიენტთა მოსამზადებელი და ცეკვის კურსები. პანკისის ხეობაში აქტიურად მუშაობს „სამოქალაქო აქტივობების ცენტრი“, რომელიც აღმოსავლეთ – დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მხარდაჭერით (EWMI) ახორციელებს „ახალგაზრდების ჩართულობის და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის“ პროექტს, რომლის მიზანია მედიის მიერ პანკისის ხეობაში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების საკითხების გაშუქება სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის კონტექსტით და ამ პროცესში ქისტი ახალგაზრდების ჩართვა. გაისხნა პანკისის სათემო რადიო, სოციალური კაფე, იმართება საგანმანათლებლო და სპორტული შეჯიბრებები ახალგაზრდებისთვის. <http://activities.ge>

⁵⁸ ინტერვიუ არჩილ მეტრეველთან (რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო)

ბოლო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა. საერთო დაძაბულობის ფონზე ქისტები მძაფრად განიცდიან, რომ მათი სახელი ტერორიზმს და ძალადობას დაუკავშირდა. ამიტომ კიდევ უფრო სენსიტიურად ხვდებიან სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც გულისხმობს მთავრობასა და პანკისელებს შორის უშიშროების სამსახურის მედიატორობასა და ადგილობრივ მოსახლეობასთან „უსაფრთხოების დაცვის ენით“ საუბარს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფოს მიერ შექმნილ რიგ ორგანიზაციებს (რელიგიის საკითხთა სააგენტო, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო) ისინი სკეპტიკურად უყურებენ. პანკისში ბოლო წლებში გაიზარდა უნდობლობა სახელმწიფოს წარმომადგენლების მიმართ. *„უნდობლობა არის მთავრობის მიმართ... როცა ვინმე ჩამოდის, ყოველთვის არის ეჭვი, არ ვიყოთ გამოყენებული. არ ვიცით, ვინ ვინ არის. ვინმემ არ გამოგვიყენოს თავის თამაში“*, – აღნიშნავს ერთ-ერთი პანკისელი რესპოდენტი. თუ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, მთავრობა სალაფიტურ რელიგიურ თემთან იყო დაკავშირებული, დღეს („ისლამური სახელმწიფოს“ საფრთხისა და სირიაში პანკისელების რეკრუტირების ფონზე) ხელისუფლება „ტრადიციული ისლამის“ მიმდევრებთან ურთიერთობას ანიჭებს უპირატესობას. თუმცა მათ სულ უფრო ნაკლები ზეგავლენა აქვთ მოსახლეობაზე. „უხუცესთა საბჭოს“ ავტორიტეტისა და გავლენის შესუსტებაში ზოგიერთი ექპერტი წინა მთავრობას სდებს ბრალს. რეალურად, ეს ბოლო წლებში მიმდინარე საზოგადოებრივ–რელიგიური ტრანსფორმაციის შედეგია. პანკისის ხეობაში ახალი ღირებულებები, ინტენსიური რელიგიური პრაქტიკა მკვიდრდება. მთავრობის მხრიდან ერთი რომელიმე ჯგუფის პრივილეგირება და სანდოდ გამოცხადება, ხოლო მეორე ჯგუფის მარგინალიზება, უფრო აღრმავებს დაძაბულობას რეგიონში და გაზრდის სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ უნდობლობას.

საპარლამენტო უმრავლესობის და მთავრობის წარმომადგენლები, ნაკლებად ინფორმირებული არიან რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ისინი რელიგიური რადიკალიზმისა და სირიაში ახალგაზრდების რეკრუტირების შემთხვევებს წინა ხელისუფლების პოლიტიკის შედეგებად მიიჩნევენ, ან მხოლოდ რელიგიურ ფანატიზმს მიაწერენ⁵⁹. არ განიხილება ქისტებში „ისლამური სახელმწიფოს“ პოპულარობის სხვა მოტივაცია. საკითხის სათანადოდ შეუფასებლობა აფერხებს შესაბამისი პოლიტიკის განსაზღვრას და რეაგირებას. ყოფილი სამთავრობო გუნდის წარმომადგენლები მწვავედ აკრიტიკებენ დღევანდელ ხელისუფლებას. შოთა უტიაშვილი (შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ყოფილი უფროსი) აღნიშნავს, რომ *„ხელისუფლება მოვიდა და მთავარი მისი პოლიტიკა იყო ის, რომ აი, ლაფანყურის აჯანყების დროს ხალხი დახოცეს და აი, ჩვენ ვალში ვართ პანკისელების წინაშე და ეს „ვალში ვართ, ვალში ვართ“ გადაიზარდა რალაცნაირ არასწორ მიდგომაში მათ მიმართ, რომ ისინი მართლები არიან და მათ წინააღმდეგ საქართველოს სახელმწიფო ტყუის. ამიტომ დიდი ხანი დაჭირდა იმას, რომ პანკისში ამ მთავრობას დაენყო მოქმედება.“*⁶⁰

„ინდიფერენტული მიდგომა“ და უსაფრთხოების პოლიტიკის დეფიციტი – ასე აფასებს სიტუაციას, როგორც საპარლამენტო ოპოზიციის, ასევე უსაფრთხოების ექსპერტების მხრიდან.⁶¹ სამინისტროებსა და უწყებებს შორის კოორდინაციის დეფიციტია. მათი შეფასებები არ არის გათვლილი გრძელვადიან გეგმაზე. ხელისუფლების წარმომადგენლებს სიღრმისეულად არ აქვთ გაცნობიერებული პანკისში მიმდინარე პროცესები. ეროვნული უშიშროების საბჭოში ვერ ხედავენ პანკისის მიმართებით სტრატეგიული გეგმის არ-

⁵⁹ ინტერვიუ ეროვნული უშიშროების საბჭოს წარმომადგენელთან

⁶⁰ ინტერვიუ შოთა უტიაშვილთან

სებობის საჭიროების აუცილებლობას. ამიტომაც ჩამოუყალიბებელია უსაფრთხოების პოლიტიკა.⁶² 2014-2015 წლებში გატარებული ცალკეული ღონისძიებები იყო მხოლოდ და მხოლოდ პოსტ-ფაქტუმ რეაქცია და არა გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის ნაწილი. „2012 წელს ჩვენმა ხელისუფლებამ სიგნალები და საფრთხეები ვერ აღიქვა სწორად. როცა თავდაცვის მინისტრი ვიყავი და ამ საკითხებს შესაბამისად ვაყენებდი უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოების წინაშე, მე ვხედავდი, რომ მათ სერიოზულად არ ჰქონდათ ეს საფრთხეები აღქმული“, – აღნიშნავს ყოფილი თავდაცვის მინისტრი ირკალი ალასანია. სტრატეგიის არქონაზე ამახვილებს ყურადღებას მამუკა არეშიძეც და უთითებს, რომ ამ თემით პოლიტიკოსების მცირე ნაწილია დაინტერესებული: „არსებობენ სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც თვლიან, რომ პანკისის თემა მისახდია და ცდილობენ რალაცა გააკეთონ, მაგრამ ყველაფერს აქვს კამპანიური ხასიათი. ამ პოლიტიკოსების დამოკიდებულება არის ნამდვილად გულითადი, მაგრამ მათი საქმიანობა არათანმიმდევრულია და მოკლებულია ისეთ ეფექტურ სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ მიდგომებს, რომელიც ქვეყანას წარმატებას მოუტანდა პერსპექტივის თვალსაზრისით. წინა ხელისუფლების შემთხვევაში, უნდა ვითხრათ, რომ პირიქით იყო... ბევრად უფრო ღრმად იცოდნენ იქაური სიტუაცია... მაგრამ იყენებდნენ თავიანთი პოლიტიკური კონიუნქტურისთვის. ლაფანყური ამის ნათელი მაგალითია“⁶³

პრეზიდენტის აპარატი გამოირჩევა ინფორმაციის ფლობისა და სამოქმედო გეგმის თვალსაზრისით. პრეზიდენტის ინიციატივით 2015 წლის დეკემბერში პანკისში არსებული სიტუაციის უკეთ გაანალიზებისთვის და სამომავლო გეგმის მოსამზადებლად შეხვედრა გაიმართა სამინისტროებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. 2016 წელს ქვეყნის პირველი პირის ინიციატივით პანკისის საკითხი პრიორიტეტულად გამოცხადდა. პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ფინანსდება პროექტები, რომლის სამიზნე ჯგუფი პანკისელი ახალგაზრდები არიან⁶⁴.

რა ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეს სახელმწიფოს სწორ პოლიტიკურ ნაბიჯებს რეგიონში, ამას მკაფიოდ გვიჩვენებს 2016 წლის 30 იანვარს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ვიზიტი ხეობაში. „ლავროვზე კომენტარის გაკეთებას არ ვაპირებ. მე ვარ პანკისში. ჩემთან ერთად არიან ევროკავშირისა და შეერთებული შტატების ელჩები, ჩემთან ერთად ხართ თქვენ, ყურნალისტები და საკუთარი თვალთ შეგიძლიათ ნახოთ, როგორი სიმშვიდეა აქ“.⁶⁵ ცხადია, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადების შემდეგ პრეზიდენტის პანკისში ჩასვლა იყო მართებული ნაბიჯი. ამ პოლიტიკურ ჟესტს ჰქონდა კიდევ სხვა მნიშვნელობა იმ თვალსაზრისით, რომ შესაძლებელი გახდა ზემოთ ნახსენები უნდობლობის ერთგვარი განეიტრალება. ხეობის მაცხოვრებლები პრეზიდენტის ვიზიტს იხსენებენ, როგორც განსაკუთრებულ ფაქტს. ქისტებმა ქვეყნის პირველი პირის მიმართვა აღიქვეს ლავროვის ბრალდებას პასუხად და სახელმწიფოს მხრიდან ადგილობრივი მოსახლეობისადმი ნდობის გამოხატვად.

⁶¹ გოგუაძე, გიორგი/კაპანაძე, სერგი: დაეში და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები, პოლიტიკის დოკუმენტი, საქართველოს რეფორმების ასოციაცია, 2015 წლის ნოემბერი, გვ. 18 <http://grass.org.ge/wp-content/uploads/2015/11/daesh-da-skhva-gamotsvevebi.pdf> ბოლო ნვდომა: 1.10.2016

⁶² იგ.

⁶³ ინტერვიუ მამუკა არეშიძესთან

⁶⁴ ინტერვიუ სოფიო შამანიდთან (საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებზე)

⁶⁵ „პრეზიდენტის საჯარო შეხვედრა პანკისის ხეობაში 11 წლის შემდეგ“, კახეთის საინფორმაციო ცენტრი, <http://ick.ge/articles/25420-i.html>

3. რელიგიური ტრანსფორმაცია პანკისის ხეობაში

სალაფიზმი – „სუფთა ისლამი“ და „გლობალური ისლამი“

იმის მიუხედავად, რა „პოლიტიკური თეოლოგია“ აქვს ისლამურ მიმდინარეობას, ისლამის პოლიტიკურ განზომილებაში გადასვლა მოდერნული დროის ფენომენად უნდა ჩავთვალოთ. ისლამის (შიიზმის) პოლიტიზირების პირველი ყველაზე მკაფიო მაგალითი 1979 წლის ირანის რევოლუცია იყო. მოგვიანებით, ისლამისა და პოლიტიკური მიზნების კავშირი საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი გამონწვევა გახდა, განსაკუთრებით „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ.

პანკისის ხეობაში რელიგიური და პოლიტიკური პროცესების მიმართების განხილვისას მხოლოდ ორი ფენომონის განსაზღვრებით შემოვიფარგლებით. ესაა სალაფიზმი და გლობალური ისლამი.

სალაფიზმის განსაზღვრება დღემდე საკამათოა სამეცნიერო წრეებში. აზრთა სხვადასხვაობაა როგორც მოძღვრების ჩამოყალიბების, ასევე ძირითადი დოქტრინის შესახებ. სალაფიზმი (არაბ. სალაფია السلفية) მიეკუთვნება სუნიზმში ჰანბალიტურ თეოლოგიურ სკოლას და უარყოფს რელიგიური ტექსტის ალეგორიულ ინტერპრეტაციას. მოძღვრებაში ცენტრალურია წინაპრების (მუსლიმთა პირველი სამი თაობის) დროინდელი ისლამის მიმდევრობა (არაბ. سلف سالاف – წინაპარი). სალაფიზმი კონსერვატული რელიგიური მოძღვრებაა. იგი ეწინააღმდეგება ისლამის განახლებას (*bida'*), ასევე გმობს წმინდანების თაყვანისცემას, სხვადასხვა კულტებს, სუფიზმს, ცრურწმენებს. სალაფიზმს ყველაზე დიდი კონფლიქტი შიიზმთან აქვს და მას ურწმუნოებად მიიჩნევს. სალაფიზმში, თეოლოგიური კონსერვატიულობის გამო, გავრცელებულია „განკვეთის“ პრაქტიკა ინდივიდების ან ინსტიტუციების მიმართ. სამართლებრივი საკითხების მიხედვით არსებობენ ისეთი მიმდევრები, რომლებიც აღიარებენ ინდივიდუალურ გასამართლებას (*ijtihād*), უარყოფენ სუნიტური სამართლის ოთხ სკოლას (*madhāhib*), მაგრამ არის მეორე ჯგუფიც, რომელიც აღიარებს ამ სამართლის სკოლას. XIX და XX საუკუნეში სალაფიზმი პოპულარული იყო მოდერნისტულ მეცნიერებაში (Afghani (1838–97) Muhammad 'Abduh (1905)). სალაფიზმთან თეოლოგიურად დაკავშირებულია ვაჰაბიზმი – (არ. الوهابية ალ-ვაჰაბია). ვაჰაბიზმის მიმდევრები თვლიან, რომ სალაფიზმის გამაგრძელებლები არიან.⁶⁶ ვაჰაბიზმის მოძრაობას მხარი დაუჭრა საუდის არაბეთის სამეფო საგვარეულომ და მისმა ლიდერმა მუჰამედ ბინ საუდმა, რომელიც იბრძოდა არაბეთის გასაერთიანებლად. ეს პოლიტიკურ-რელიგიური ალიანსი ორივე მხარისათვის მომგებიანი აღმოჩნდა. დღეს ვაჰაბიზმის მოძღვრება საუდის არაბეთის ოფიციალური რელიგიაა. 1920-იანი წლებიდან ამ ქვეყნის მონარქები მხარს უჭერენ და აფინანსებენ სალაფიზმს ეგვიპტეში, სირიასა და ერაყში. მკვლევართა უმრავლესობა თანხმდება, რომ სალაფიზმს, როგორც მოძღვრებას, არ აქვს პოლიტიკური მიზანი⁶⁷, მაგრამ მე-20 საუკუნეში იგი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ხშირად გამოიყენეს. პოლიტიკურად მობილიზებული ჯგუფები, რომლებიც სალაფიზმის მიმდევრებად აცხადებდნენ თავს, 1970-იანი წლებიდან გააქტიურდნენ. მათი ერთობ ჰიბრიდული იდეოლოგია, რომელსაც მხარს უჭერდა საუდის

⁶⁶ მოძრაობას საფუძველი ჩაეყარა XVIII ს. შუა ხანებში არაბეთის ნახევარკუნძულზე მოჰამედ იბნ აბდ ალ-ვაჰაბიას (1703-1787) მოძღვრებაზე დაყრდნობით.

⁶⁷ Bowering, Gerhard (ed.): The Princeton Encyclopedia of Islamic Political Thought, Princeton, 2013

არაბეთი, მიმართული იყო კომუნიზმისა და „მუსლიმური საძმოს“ წინააღმდეგ.⁶⁸ პოლიტიკური მოტივების მიხედვით, სალაფიზმის მიმდევრებში შეიძლება გამოვყოთ სამი ჯგუფი: 1. სალაფი ჯიჰადისტები, რომლებიც არსებული წყობის შეცვლისათვის ომის გზას ირჩევენ და სურთ ისტორიული ხალიფატის აღდგენა (ალ – ყაიდა); 2. პოლიტიკურად აქტიური სალაფიზმის მიმდევრები. ისინი გამობენ ძალადობრივ ქმედებებს (ალი ჰადიტი ინდოეთში, „ისლამისტური გამოღვიძება“ საუდის არაბეთში); 3. ტრადიციონალისტები (პასიური ჯგუფი), რომლებიც ემიჯნებიან პოლიტიკურ აქტივობას და ბრძოლას. ამ უკანასკნელ ჯგუფს მიეკუთვნება სალაფიზმის მიმდევრების ურავლესობა. მათი მიზანია საზოგადოების ტრანსფორმაცია, სარწმუნოების „შენახვა“ და რელიგიური განათლება.⁶⁹ სალაფიზმის მიმდევრები გამობენ თვითმკვლელობას, როგორც ღვთის კანონის წინააღმდეგ ჩადენილ ცოდვას.⁷⁰

დაეშ-ის იდეოლოგიასა და სალაფიზმს შორის ვერ ჩავსვამთ ტოლობის ნიშანს. „ისლამური სახელმწიფო“-ს ჰიბრიდული იდეოლოგია თვისობრივად განსხვავებულია ისლამიგან. ის პოლიტიკური რელიგიაა, რომლის არსებობა შესაძლებელი გახდა სწორედ გლობალიზაციის ეპოქაში. დაეშ-ის იდეოლოგია არის არა ისლამი, არამედ „გლობალური ისლამი“⁷¹. იგი XX საუკუნის ფუნდამენტალისტურ მოძრაობებთან ვერ გავაიგივებთ, რადგანაც გაცილებით უფრო პოლიტიკური, რადიკალური და გლობალური ხასიათისაა. მას კარგად შეესაბამება რუას ტერმინები – „გლობალური ისლამი“ და „პოსტისლამიზმი“. ოლივიე რუა ევროპულ საზოგადოებაში მიმდინარე ისლამის აღმავლობას ხსნის მუსლიმების სურვილით, არსებობდეს ავტონომიური რელიგიური სფერო სეკულარულ საზოგადოებაში. ყველაზე ხშირად ისლამის რენესანსს ხსნიან, როგორც რეაქციას გლობალიზაციაზე, მოდერნიზაციაზე და სეკულარიზაციის პროცესზე. ქვეყნები განსხვავდებიან მოდერნიზაციისა და გლობალიზაციის ეფექტის, ლოკალური კულტურის, ეკონომიკის განვითარების მიხედვით, ამიტომ განსხვავებულია „რეაქციაც“ ამ პროცესებზე. თუმცა თეზისი, რომ ფუნდამენტალისტური მოძრაობების მამოძრავებელი იმპულსი „საზოგადოების კრიზისულობის განცდაა“, ყველა შემთხვევაში ძალაში რჩება.⁷² ეს მიზეზი დასტურდება როგორც ქრისტიანულ, ასევე ისლამურ ფუნდამენტალისტურ ჯგუფებში.

„გლობალური ისლამის“ ფენომენის განსაზღვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ის ფაქტი, რომ ისლამის გლობალურმა გავრცელებამ გააფერმკრთალა კავშირი რელიგიას, კონკრეტულ საზოგადოებასა და ტერიტორიას შორის.⁷³ რუას აზრით, „რწმენის დეტერიტორიულობამ“, დენაციონალიზაციამ და პრივატული ისლამის გაფართოებამ გამოიწვია „გლობალური ისლამის“ ფენომენის ჩამოყალიბება.⁷⁴ დაეშ-ის სწორედ ნაცი-

⁶⁸ Bowering, 2013

⁶⁹ იგ.

⁷⁰ „But in the mind of the suicide bombers, the idea is that you don't need to be a good Muslim, you don't need to pray five times a day, you don't need to go for hajj. If you make a supreme sacrifice, you will go directly to paradise and there is no need to be strict believer“, Interview with Olivier Roy, „The Islamization of Radicalism“, http://www.slate.com/articles/news_and_politics/interrogation/2016/06/olivier_roy_on_isis_brexit_orlando_and_the_islamization_of_radicalism.html ბოლო წვდომა: 1.11.2016

⁷¹ Roy, 2006

⁷² Riesebrodt, Martin: Fundamentalismus als patriarchalische Protestbewegung. Amerikanische Protestanten (1910-28) und iranische Schiiten (1961-79) im Vergleich, Tübingen, 1990

⁷³ Roy 2006

⁷⁴ Roy, Olivier: The Failure of Political Islam, Cambridge, MA: Harvard University Press, 1998, 97

ონალურობისაგან დაცლილი სხვადასხვა კულტურათა პოლიტიკური ერთობაა. ფაქტია, რომ დაემ-მა თავის სასარგებლოდ გამოიყენა გლობალურობა, საინფორმაციო ტექნოლოგიები და ტექნიკური პროგრესი. მსოფლიოს წინაშე ვირტუალურ სახელმწიფოდ წარმოჩენაც გლობალური საინფორმაციო ქსელით გახდა შესაძლებელი. „ისლამური სახელმწიფოს“ არსებობით რადიკალიზმისა და ფუნამენტალიზმის ახსნა უფრო კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. თანამედროვე ისლამი, გარდა საზოგადოებრივი და კულტურული პროცესებისა, XX საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკის შედეგიცაა.

პოსტ-საბჭოთა პერიოდში ისლამური რელიგიურობის რენესანსი პანკისში

სამეცნიერო ნაშრომებში ხშირად კავკასია ცენტრალურ აზიაში მიმდინარე რელიგიურ პროცესებთან კონტექსტშია განხილული⁷⁵ და ეს არ არის სწორი, რადგანაც თითოეული რეგიონი პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური კულტურის თავისებურებებით ხასიათდება. პანკისი ამის ნათელი მაგალითია.

პანკისის ხეობაში პოლიტიკურ და რელიგიურ პროცესებზე ზეგავლენას ახდენს ქისტების ისტორიულ სამშობლოში – ჩეჩნეთში მიმდინარე პროცესები, რუსეთის როლი ახლო აღმოსავლეთის მოვლენებში და, რა თქმა უნდა, საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების მიმართ. წინა საუკუნის 90–იან წლებში რადიკალური სოციო-პოლიტიკური ცვლილებები მოხდა ჩრდილო კავკასიაში. სწორედ ამ პერიოდში აქ ფეხი მოიკიდა და პოპულარობა შეიძინა ვაჰაბიტურმა მოძრაობამ. ვაჰაბიზმი დამკვიდრდა ჩეჩნეთისა და დაღესტნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისი პოპულარობა ახალგაზრდებში კიდევ უფრო გააძლიერა რუსეთ-ჩეჩნეთის ომმა. ვაჰაბიტები მოსახლეობაში აღვივებდნენ მებრძოლ სულისკვეთებას, მოუწოდებდნენ ახალგაზრდებს ჩეჩნეთის და ისლამის დაცვისაკენ, უარყოფდნენ რუსეთთან კოლაბორაციას. ვაჰაბიზმი იყო იდეოლოგიური ვაკუუმის ამოვსებაც და იმდროინდელ პოლიტიკურ და კულტურულ კრიზისზე ბუნებრივი პასუხიც. ანტირუსულ კონსოლიდაციაში „ტრადიციული ისლამი“ ვაჰაბიზმს კონკურენციას ვერ უწევდა⁷⁶, რადგანაც, ვაჰაბიტებისაგან განსხვავებით, „ტრადიციული ისლამის“ მიმდევრები, თავიანთი რელიგიურობიდან გამომდინარე, პასიური თემია⁷⁷. სწორედ ამ პერიოდში ჩეჩნეთში სამუშაოდ წასული ქისტები პირველად ეცნობიან სალაფიზმს, სავარაუდოდ ვაჰაბიზმს. საქართველოში ისინი უკვე „შეცვლილი ბრუნდებიან“. როგორც ერთი პანკისელი რესპოდენტი აღნიშნავს, „ჩეჩნეთიდან ჩამოსული მამა უარს

⁷⁵ Münster, Anna: Growing Islamic Extremism in Central Asia and the Caucasus – Situation and Outlook, <https://www.worldwatchmonitor.org/research/reportcentralasiainslamicextremism.pdf>

⁷⁶ 1996 წელს პრეზიდენტი იანდარბუევამ გამოსცა დეკრეტი, რომელიც აუქმებდა საბჭოთა და რუსულ სამართლს ჩეჩნეთის ტერიტორიაზე. დეკრეტი აუქმებდა ასევე სეკულარულ სასამართლოებს. უმაღლესს სასამართლო ინსტრუქციად ცხადდებოდა შარიათის სასამართლო. სისხლის სამართლის მოდელად შარიას სასამართლოსათვის აიღეს სუდანის სისხლის სამართალი. ვაჰაბიტები იკავებენ მაღალ თანამდებობებს, ავრცელებენ საზოგადოებაში თავიანთ იდეებს, ჩეჩენ ქალებს მოუწოდებენ ატარონ ჩადრი და ა.შ.

სუფიური ისლამის სურათიც შეიცვალა ჩეჩნეთში. ისინი აკრიტიკებენ და არ აღიარებენ ვაჰაბიზმს, მაგრამ გარკვეული კონსერვატიზმი ამ მიმდინარეობასაც შეეხო. რაც უფრო პოლიტიკურ პროცესებს უნდა მივანეროთ. მაგ. კადროვი, ჩეჩნეთის სუფი მუფთის ქმედებები ხშირად არაერთგავროვანია, აღიარებს როგორც შარიას სამართალს, ასევე რუსეთის კანონმდებლობას, მაგრამ უპირატესობა ანიჭებს ყოველთვის შარიას. Ferris-Rotman, Amie: ANALYSIS-Sharia law threatens Moscow control in Muslim Chechnya, Aug 26, 2010, <http://www.reuters.com/article/idUSLDE67O0S0> ბოლო წვდომა 1.1.2016

⁷⁷ ჩრ.კავკასიაში გავრცელებული სუფიზმის, tariqahs-ის (კადიარიას და ნაყმბანდიას) მიმდინარეობა.

ამბობდა ალკოჰოლურ სასმელებზე, აღარ ჭამდა ღორის ხორცს. გვითხრა, რომ ახალი წლის აღნიშვნა არ შეიძლება, დაიწყო ყურანის კითხვა.“ რუსეთ-ჩეჩნეთის II ომის შედეგად დევნილი ჩეჩნების გავლენით 1999 წლიდან სალაფიზმი ქისტებში სულ უფრო იმკვიდრებს ფეხს. მოგვიანებით სალაფიზმს ეზიარებიან საუდის არაბეთში სასწავლებლად წასული ახალგაზრდები. პანკისში ჩატარებული კვლევის დროს ვერ შეფასდა, თუ რამდენად ფართოდ იზიარებენ სალაფიზმის მიმდევრები ვაჰაბიზმს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პანკისელ ქისტებში გავრცელებულია ე.წ. „ტრადიციულ ისლამი“ – მიურიდიზმი (სუფიზმი). რაც შეეხება შარიათს, იგი პანკისში ნაწილობრივ ექვემდებარებოდა ტრადიციულ სამართალს. სალაფიზმის შემოსვლამ შეარყია აქ არსებული ადათ-წესები. სალაფიზმი, რომელიც უარყოფს ხალხურ ტრადიციებს, წმინდანების თაყვანისცემას, სუფიზმს, თეოლოგიურად დაუპირისპირდა პანკისში გავრცელებულ ასეთ რელიგიურ პრაქტიკას. ჩეჩენმა ლტოლვილებმა და მათთან ერთად სალაფიზმის მიმდევარმა ადგილობრივმა ახალგაზრდებმა დაიწყეს აქ გავრცელებული სუფიური ისლამის კრიტიკა. ისინი ცდილობდნენ ქისტების მოქცევას „სუფთა“ რელიგიაზე. სარწმუნოებრივი განსხვავება და მიუღებლობა სულ უფრო ცხადი ხდებოდა. „ტრადიციული ისლამი“ სალაფიზმს მიიჩნევს სექტად, თავის მხრივ, სალაფიზმისათვის მიურიდიზმია სექტა. კვლევის შედეგებმაც აჩვენა, რომ სიახლეს (*bida'*) რელიგიაში და ადგილობრივ რელიგიურ ტრადიციებს მიუღებლად თვლიან პანკისელი სალაფის მიმდევრები. მათ მისიონერების (საუდის არაბეთიდან) ხელშეწყობით ააშენეს მეჩეთები დუისში, ომალოსა და ბირკიანში, რომელთაც ხალხი „ვაჰაბისტურ“ ან „ახალ“ მეჩეთს ეძახიან.

დამოუკიდებლობის შემდგომ პერიოდთან შედარებით, დღეს რელიგიური ველი პანკისში სრულიად განსხვავებულია. გაზიარებული ტრადიციები, სახალხო-რელიგიური დღესასწაულების ქართველებთან ერთად აღნიშვნა, შერეული ქორწინებები თითქმის აღარ გვხვდება. არაბული ენის უცოდინარობა, ლოკალური რელიგიური ტრადიციების მიმდევრობა, მუჰამედის დაბადების დღის აღნიშვნა, წმინდანების რწმენა, გაზიარებული ტრადიციებისა და სალოცავების აღიარება, პასიური რელიგიური ცხოვრება – ესაა მცირე ჩამონათვალი, რასაც სალაფიტური ისლამის მიმდევრები აკრიტიკებენ უფროსი თაობის რელიგიურ პრაქტიკაში. ცამეტი წლის ქისტი გოგონა ამბობს: „აღარ აღვნიშნავთ ახალ წელს. ზოგიერთი, ვისაც პატარა ყავს სახლში, აღნიშნავენ ბავშვების გამო... ისლამი კრძალავს დაბადების დღის და ახალი წლის აღნიშვნას“.

პანკისში რელიგიური ტრანსფორმაცია ნათლად გამოიხატა რელიგიური პრაქტიკის ცვლილებაში. ქისტები ამბობენ, რომ „ახალ მეჩეთში“ უფრო მეტი ხალხი დადის, ვიდრე ძველ მეჩეთში, განსაკუთრებით, ახალგაზრდები“. ჩვიდმეტი წლის ქისტი გოგონას აზრით, „ისინი...იმ რელიგიას არ მისდევენ...ის რელიგიაა, მაგრამ როგორც ჩვენები ამბობენ, ისინი ჰაჯიმურიდები არიან...აქ არის ახალი მეჩეთი, ნორმალური.“

პირობითად ქისტებში რელიგიური ტრანსფორმაციის თვალსაზრისით სამი თაობა გამოიყოფა. პირველ თაობას მიეკუთვნებიან უხუცესები. მათ საბჭოთა პერიოდში გაიარეს სოციალიზაცია და უკვე იყვნენ „ტრადიციული ისლამის“ მიმდევრები. ისინი კვლავ ერთგული რჩებიან საკუთარი რწმენის. მეორე თაობა ეს ის ხალხია, ვინც დამოუკიდებლობის შემდეგ ეზიარა სალაფიზმს. ამ თაობის იდენტობის ჩამოყალიბებასა და თვითდამკვიდრებას რადიკალური პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ტრანსფორმაციის ფონზე ეყრებოდა საფუძველი. მესამე თაობის რელიგიური იდენტობის ჩამოყალიბება ისლამს

ორი მიმდინარეობს კონკურენციის ფონზე მიდის. მათი მშობლები სალაფიზმის მიმდევრები არიან. თითქმის ყველა ოჯახშია სამივე თაობის წარმომადგენელი და ნათლად იკვეთება რელიგიური ცვლილებების სურათი. აი, რას ამბობს მესამე თაობის რესპოდენტი: „პარასკევს მანქანით ერთად მოვდივართ, მამაჩემი დატოვებს ბაბუას მეჩეთში (ტრადიციული ისლამი), შემდეგ თვითონ მიდის ახალ მეჩეთში (სალაფიტური), მე ხან ერთგან დავდივარ, ხან მეორეგან. უფრო ახალ მეჩეთში, აქ უფრო განათლებული იმამებია.“ ამ სიტყვებში ჩანს ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული განსხვავებული რელიგიური მიკუთვნებულობაც და ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზიც, რის გამოც სალაფიზმი პოპულარული გახდა ახალგაზრდებში. სალაფიტური ისლამის მეჩეთების იმამები და შეიხები ძირითადად არიან ახალგაზრდები, რომლებმაც თეოლოგიური განათლება საუდის არაბეთის უმაღლეს სასწავლებლებში მიიღეს და თავისუფლად ფლობენ არაბულ ენას. განსწავლულობა ამაღლებს მათ ავტორიტეტს ხეობაში. რა თქმა უნდა, სალაფიზმის პოპულარობა პანკისში მხოლოდ ამით არ აიხსნება. რელიგიურობის აღმავლობა არის ისლამის რენესანსის, პოსტ-სეკულარულ დროში „რელიგიათა დაბრუნების“ საერთო ტრენდის ნაწილი და ასევე განპირობებულია ხეობაში მიმდინარე სოციალური და კულტურული ტრანსფორმაციის შეუქცევადი პროცესით. ინტერვიუს დროს ქისტი ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ მათ ბევრი კითხვა აქვთ ისეთი, რაზეც პასუხს ვერ იძლევა ადგილობრივი „ტრადიციული ისლამი“. რელიგიის რევიტალიზაცია დღეს ნიშნავს ისლამური იდენტობის კონსტრუირებას თანამედროვე ტექნოლოგიების ხელშეწყობით. სალაფიზმის მიმდევარი ქისტი გეოგრაფიულად, სოციალურად და ეკონომიკურად ჩაკეტილ გარემოში ცხოვრობს, მაგრამ იგი ინტერნეტით არის უფრო დიდი ისლამური ერთობის ნაწილი. რელიგიურობის ზრდა გამოიხატება ტრადიციული ღირებულებების, კონსერვატიული სარწმუნოებრივი შეხედულებების აღმავლობით, რელიგიური პრაქტიკის ინტენსივობით. თანამედროვე „რელიგიურობის რენესანსი“ გამოირჩევა იმით, რომ მორწმუნეები ფართოდ იყენებენ ინფორმაციისა და კომუნიკაციის გავცრელების უახლეს მეთოდებს.⁷⁸ ქისტები საუდის არაბეთში იღებენ არა მარტო თეოლოგიურ განათლებას, არამედ – პროფესიულსაც (ბიზნესი). ინტერვიუს დროს აბიუტურიენტებმა გამოხატეს საქართველოში (არარელიგიური) უმაღლესი განათლების მიღების სურვილი („მთელი პანკისი ბიზნეს-ადმინსტრირებას სწავლობს ან აპირებს, რომ ისწავლოს“).

ჩაკეტილ ხეობაში რელიგიურობა ერთგვარი სტატუსია ახალგაზრდებისათვის. ზოგადად, მათი უმრავლესობა ყველაზე მეტ დროს მეჩეთში, ყურანის სკოლაში ატარებს. შეიძლება ითქვას, მეჩეთი ერთადერთი ინსტიტუტია ხეობაში, სადაც ხდება სოციალიზაცია, იდენტობის ჩამოყალიბება. ესაა არა მხოლოდ რელიგიური კუთვნილების ნიშანი პანკისში, არამედ სოციალური სტატუსიც. ის გამოხატავს პიროვნების მორალურ-ეთიკურ მხარეს, განათლებას (არაბული ენის, ყურანის ცოდნა). პანკისელებმა ნახევრადხუმრობით აღნიშნეს, რომ „გოგოებმა, ვინც ჰიჯაბი დაიხურა, ყველა გათხოვდა იმიტომ, რომ აქ ასეთი გოგოები მოსწონთ. მერე მხრივ, ხეობაში ის ბიჭები არიან პოპულარული, ვინც მეჩეთში დადის, არაბულ ენას ფლობს“.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული ყველა ახალგაზრდა, გოგონებიც და ვაჟებიც, დადის პარასკევის ლოცვაზე სალაფიტურ მეჩეთში და მარხულობს რამაზანის თვეში. „მე მიხაროდა და ვინახავდი მარხვას“ – ამბობს ჩვიდმეტი წლის ქისტი გოგონა. ის ახალ მე-

⁷⁸ შდრ. Gugler, Thomas K.: Die jungen Islamisten Pakistans. Die neue Friedensfähigkeit des Neo-Fundamentalismus, W & F Wissenschaft und Frieden, 2/2010, 31-34, <http://www.wissenschaft-und-frieden.de/seite.php?artikellID=1616>

ჩეთში დადის და დიდი სიყვარულით აღწერს რამადანის მარხვის პერიოდს. თითქმის ყველა მოზარდი სწვლობს არაბულის ენის შემსწავლელ კურსებზე („ზოგჯერ ვერ ვასწრებთ მეჩეთში მისვლას, ინგლისურზე რომ დავდივართ, მაგრამ მაინც ვცდილობთ მისვლას“). მათი საყვარელი ადგილი ერთმნიშვნელოვნად მეჩეთია. დღეს დუისში, შეიძლება ითქვას ორი ცენტრია: ახალი მეჩეთი და დუისის ახალგაზრდული ცენტრი.⁷⁹ სალაფიზმი თავისი კონსერვატიული ბუნებიდან გამომდინარე გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს. მაგალითად, ყოფილა შემთხვევა, გოგონებს მშობლების რჩევით მიუტოვებიათ ცეკვის კურსები. თუმცა არის მაგალითები, როცა მეორე წელს ისევ გაუგრძელებიათ. ეს ამბივალენტობა ან ადაპტაცია სხვა შემთხვევებშიც ვლინდება. ცამეტი წლის გოგონას უყვარს ფეხბურთი და ოცნებობს, პანკისში იყოს სტადიონი გოგონებისათვის. ის ამბობს, რომ ისლამის მიხედვით არ არის მისაღები ქალი-ფეხბურთელი, „*მაგრამ რადგან მე ჯერ პატარა ვარ, შეიძლება... ახლა კარატეზე დავდივარ.*“ მეჩეთში სიარული ბევრი ახალგაზრდისათვის, როგორც რელიგიურად, ასევე სოციალურად ძალიან მნიშვნელოვანია. თინეიჯერების უმრავლესობა დადის ყურანის სკოლაში. ისინი რელიგიურ გარემოში იზრდებიან. მშობლები სალაფიზმის მიმდევრები არიან, ხოლო ბებიები და ბაბუები – მიურიდის.

ცალკე უნდა აღინიშნოს სალაფიზმის მიმდევარ ქისტებში თავსაბურავის, იგივე ჰიჯაბის ტარების თემა. ჰიჯაბი ამ ხეობაში რელიგიურობის აღმავლობას ერთ-ერთი ნიშანია. ქისტებში გავრცელებული იყო არარელიგიური ტრადიცია, როდესაც გათხოვილი ქალი ატარებდა თითქმის შეუმჩნეველ თავსაფარს. ეს იყო მცირე განმასხვავებელი ნიშანი. რაც შეეხება ჰიჯაბს, ის სალაფიზმის გავცრელებასთან ერთად დამკვიდრდა. თავსაბურს ბევრი სკოლის მოსწავლე გოგონა ატარებს. იშვიათად არის შემთხვევები როდესაც ბავშვს არ სურდა თავსაბურავის დახურვა, მაგრამ მშობლებმა აიძულეს. ხშირად – გოგონას თავად სურს ჰიჯაბის ტარება. მათთვის ეს მნიშვნელოვანი, ახალი ეტაპია ცხოვრებაში. „*ბებიაჩემი გამიწერა, არ გინდოდა, პატარა ხარო. თავშალს რომ იფარებ, ბევრი რამის მიმართ მოკრძელებული უნდა იყო, თავშეკავებული. მე კი მიმაჩნდა, რომ ჰიჯაბი დამავალდებულებდა შევცვლილიყავი კარგისაკენ*“ – ამას ამბობს გოგონა, რომელიც დღესდღეობით თავსაბურავს ატარებს, დუისის ახალგაზრდულ ცენტრში თითქმის ყველა საგანამანათლებლო კურსზე დადის და მომავალში აპირებს ინგლისური ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელებას.

ჰიჯაბი სენსიტიური თემაა ქისტებისათვის. ისინი სავარაუდო კრიტიკის მოლოდინში არიან, დისკრიმინაციის ერთეულ შემთხვევებზე საუბრობენ. მათი დამოკიდებულება გზავნილია მთავრობის მიმართ: „*ჰიჯაბი მუსულმანი ქალის მარგინალობის მიზეზი არ უნდა გახდეს, სახელმწიფო არ უნდა ქმნიდეს ამას, უნდა გაითვალისწინოს*“. ქისტებმა ბომბის აფეთქებას შეადარეს სატელევიზიო სიუჟეტი იმ პანკისელი სკოლის მოსწავლეების შესახებ, რომლებიც ჰიჯაბს ატარებენ. „*მასწავლებელმა უნდა ასწავლოს და არ უნდა შეეხოს მოსწავლის რელიგიურ შეხედულებებს, ახურავს თუ არა მას თავსაბურავი... გავრცელდა ვიდეო, მასწავლებელი ალაპარაკეს, ასე დადიანო...შოკის მომგვრელი იყო, ეს ვიდეოები რომ დაიდო. ავიღოთ ევროპა, გერმანია. მე არ მინდა, ჩემმა გოგომ ბიჭთან ერთად იცურაოს აუზში. სხვა ქვეყნის მაგალითი გავითვალისწინოთ... ჩვენთან პროვოკაციულ გადაცემას აკეთებენ*“. ჰიჯაბის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება განსაკუთრებით გაღიზიანებას იწვევს სალაფიზმის მიმდევრებში. „*მე რელიგია კი არ მილახავს ღირსებას და თავისუფლებას, არამედ ეს დამოკიდებულება (თავსაბურავის ტარების კრიტიკა)*“, – ამბობს ერთ-ერთი ქისტი ქალი.

⁷⁹ „კახეთის რეგიონის განვითარების ფონდი“ და მასთან არსებული „ახალგაზრდული ცენტრი“.

ვაინახები – რელიგიური და ნაციონალური იდენტობის გზაჯვარედინი

სინკრეტული რელიგიურობა გარკვეული ისტორიული გამოცდილების შედეგია. სხვადასხვა კულტურების, რელიგიების ზეგავლენით ეთნოსი ითვისებს უცხო ტრადიციებს. ამის მაგალითები ბევრგან გვხვდება, მაგალითად, ევროპაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნამ, პოლიტიკური და ეკონომიკური მმართველობის ფორმების ხანგრძლივმა არსებობამ, ისლამური კულტურის (Pax Ottomana) ძლიერმა გავლენამ თავისი კვალი დატოვა ბულგარეთში, ალბანეთსა და, განსაკუთრებით, ბოსნია-ჰერცეგოვინაში. ისტორიულმა რეალობამ რელიგიას შესძინა ნაციონალური თავისთავადობის განმსაზღვრელი შინაარსი. ისლამი (მიურიდიზმი) ქისტების იდენტობის მნიშვნელოვანი მარკერი იყო და არის. მართალია, პანკისში რელიგიურ პრაქტიკას ქრისტიანული კულტურული ტრადიციები შეერწყა, მაგრამ ამ სინკრეტიზმით ის უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. ასეთი რელიგია გახდა მნიშვნელოვანი რესურსი ქართველებთან სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობისათვის.

როგორია ნაციონალური და რელიგიური იდენტობების გზაჯვარედინი ქისტებში? ისევე როგორც აჭარაში, პანკისშიც „ტრადიციული ისლამი“ ინტერრელიგიური და ინტერკულტურული ურთიერთობის გამოცდილების გამო გამოირჩევა ღიაობით, ტოლერანტობით. მსგავსად მათთვის მიუღებელია გლობალური ისლამი და პოლიტიზირებული ისლამი. ასეთ „ლიბერალურ“ კულტურას ზოგიერთი მეცნიერი იმით ხნის, რომ აქ რელიგიური (ისლამური) იდენტობა უფრო მეტად „კულტურული იდენტობაა“.⁸⁰ „ტრადიციული ისლამის“ მიმდევრებისათვის პანკისში (აჭარაშიც) რელიგია ნაციონალური ელფერისაა. ეროვნული იდენტობა საქართველოში მცხოვრები ქისტებისთვის თავისებური ფორმით ჩამოყალიბდა. ჩამოსახლების შემდეგ პარალელური და იზოლირებული კულტურული ერთობა კი არ ჩამოყალიბებულა, არამედ ყველაზე ინტეგრირებული ეთნიკური ჯგუფი საქართველოში. „ჩვენ პატარა ერი ვართ... ჩვენ ვაინახები ვართ... ჩვენ მთის შვილები ვართ... კავკასიელები ნათესავები ვართ“ – აი, ამ განცდებით ცხოვრობენ ქისტები. ასეთი გააზრება აკავშირებს ვაინახებსა და ქართველებს. ქისტებისათვის საქართველოში და ჩეჩნებისათვის რუსეთში „შენიანის“ და „უცხოს“, მტრის და მეგობრის დუალიზმი სრულიად განსხვავებულადაა ჩამოყალიბებული. ჩეჩნები რუსებს თავიანთი იდენტობის (ეროვნულობის) საფრთხედ აღიქვამენ, საქართველოში მცხოვრებ ქისტებისთვის (განსაკუთრებით უფროს თაობას) ქართველები ახლობელნი. ქისტები ქართულად საუბრობენ. სიახლოვე ენის ბარიერის უქონლობამაც განაპირობა, ქართულის ცოდნამ გაამყარა „კავკასიელთა“, „მთის შვილთა“ ერთობის განცდა. ახლობლობის დასამტკიცებლად პანკისში ხშირად ციტირებენ ვაჟა-ფშაველას, თედო რაზიკაშილს. გადმოცემით, სოფელ ჯოყოლოში ვაჟა-ფშაველამ რამდენიმე სიტყვა ამოტვიფრა ქვაზე. ეს ამბავი დღევანდელი ქისტების კულტურული მეხსიერების ნაწილია. ამ ისტორიით, ამ ადგილით ამაყობენ პანკისელები და აქ ყოველ წელს იმართება პოეზიის დღე. რაც შეეხება რელიგიურ განსხვავებას, ახალგაზრდა თაობა, რომელიც მაღალი რელიგიურობით გამოირჩევა, აღნიშნავს: „ჩვენი რელიგია არ გვიშლის ურთიერთობას სხვა რელიგიის წარმომადგენლებთან... მე ეკლესიაშიც ვყოფილვარ.“ ბევრი ქისტი ამ განსხვავებაზე პასუხად იხსენებს ლადო ჭინჭარაულის ლექსს: „რწმენა არ ერჩის ძმობასა“.

⁸⁰ Roy, Olivier: in: Elbasani, Arolda / Roy, Olivier (eds.): The Revival of Islam in the Balkans. From Identity to Religiosity, New-Yoork, 2015, 242-251, 244

ტოლერანტული დამოკიდებულების მიზეზი არის რელიგიური და ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურული ურთიერთობა, ქართველი და ქისტი ხალხების „ეროვნული ნათესაობა“. სალაფიზმის მიმდევარ რესპოდენტებში გამოიკვეთა, რომ მათთვის, უფროსი თაობის ქისტებისაგან განსხვავებით, რელიგიის საკითხი ყველაზე მნიშვნელოვანია. ისინი აცნობიერებენ ქართველთა ქრისტიანობას და ხაზს უსვამენ რელიგიურ განსხვავებას სალაფიზმს კონსერვატიული მიდგომა აქვს ისლამური სექტების, სუფიზმის, შიიზმისა და ცრურწმენების მიმართ, მაგრამ „ნაკლებად მკაცრია“ ქრისტიანობისადმი. რაც შეეხება ისტორიულად ჩამოყალიბებულ ურთიერთობას, სოციალურ და კულტურულ სიახლოვეს, – დღემდე შენარჩუნებულია ქართველებსა და ქისტებს შორის და არ ნაშლილა.

სალაფიზმი თითოეულ საზოგადოებაში თავისებურ, ლოკალურ რელიგიურ კულტურად ყალიბდება. სალაფიზმის ახალგაზრდა მიმდევარები ამბობენ, რომ ჯერ მუსლიმები არიან და შემდეგ ვაინახები, მაგრამ იქვე აღნიშნავენ: „ყველზე რადიკალიც კი ფეხზე ნამოუდგება უფროსს“, რითაც ხაზს უსვამს ტრადიციების პატივისცემას. რა თქმა უნდა, „ტრადიციული ისლამის“ მიმდევრებში საერთო წარსული, ეროვნული კულტურა უფრო მნიშვნელოვანია. თუმცა პანკისში სალაფიზმის რელიგიურ იდენტობასაც არ აქვს გამოცლილი ნაციონალური საფუძველი. თარხან ბათირაშვილის (ომარ ალ შიშანი) პოპულარობა ამის ნათელი მაგალითია. ისინი ამაცობენ, რომ ქისტი, „პატარა ერის შვილი ასეთ პოპულარული გახდა“, „ამაზე ცნობილი და წარმატებული პანკისლებს არავინ გვყავს.“ ხეობაში „ისლამური სახელმწიფოს“ ლეგიტიმაციისათვის არცთუ უმნიშვნელო როლი შეასრულა სწორედ ბათირაშვილის სირიაში ყოფნამ და მისმა ავტორიტეტმა. თუ დაეში დენაციონალიზებულ იდეოლოგიაზე დგას, ბათირაშვილი მათ რიგებშიც ინარჩუნებდა თავის კულტურულ იდენტობას, რაც ნათლად ჩანს "ისლამური სახელმწიფოს" ხალიფატის ვებგვერდზე 2016 წლის 2 აგვისტოს გამოქვეყნებულ ანდერძში. აქ შეიძლება ამოვიკითხოთ სალაფიზის დოგამტური შეხედულება, ფუფუნებაზე უარის თქმა, ულტრამონოთეიზმი და ასევე ბათირაშვილის ეთნიკურ–კულტურული იდენტობა: „სანდო პირებისა და ახლო წრის შერჩევისას ყურადღება მიაქციეთ არა მათ წარმომავლობას, არამედ მათ შიშს ალაჰის წინაშე და მათ მიერ მოვალეობების შესრულების უნარებს. (...) უარყავით ამქვეყნიური საზიზღარი ცხოვრება და გახსოვდეთ, განიკითხებით ყველა იმ ქონების გამო, რაც თქვენს ხელში იყო. არ დაკარგოთ დრო ამქვეყნიური ქონების მოპოვების მისწრაფებაში. (...) ალაჰის სახელს ვახსენებ, რათა დაგლოცოს და რათა შეძლო შენს ირგვლივ შეკრიბო დაჩაგრული, დამხუფი, მიმოფანტული მორწმუნეები. რათა ალაჰმა შეგაძლებინოს ორი წმინდა ადგილის, ქვეყნის დაპყრობა, ისევე, როგორც იერუსალიმის დაპყრობა... და ბოლოს, მორწმუნეების ემირო, გთხოვ, არ დაივიწყო კავკასია.“⁸¹

აჭარელი მუსლიმებისაგან განსხვავებით, მათ კარგად იციან, რა ხდება სხვა მუსლიმურ თემში და როგორც საკუთარს, ისე განიცდიან, მაგალითად, ქობულეთის ინციდენტს, ნიგვიზიანის და სამთაწყაროს ამბებს. „მსოფლიოში მუსლიმების მდგომარეობა“ მათი ყოველდღიური მსჯელობის საგანია. და მაინც, მათთვის ვაინახობა, კავკასიელობა, ქართველებთან ერთობა უმნიშვნელოვანესია: „სხვა მუსლიმებთან ნაკლებად ვნახულობ საერთო ენას, ზაქათალაში აზერბაიჯანალებს ვიცნობ, ნაკლებად ვეწყობი. შეიძლება გქონდეს ერთი რელიგია, მაგრამ მენტალურად განსხვავებული იყო. ქართველების გარდა სხვებს ნაკლებად ვეწყობით“ – ამბობს ახალგაზრდა ქისტი რესპოდენტი.

⁸¹ იმისათვის რომ ანდერძის სრული შინაარსი არ გახდეს „ისლამური სახელმწიფოს“ პროპაგანდის და პოპულარიზაციის მიზეზი, აქ მხოლოდ კვლევითი საჭირო ამონარდია გამოყენებული

როგორც აღვნიშნეთ, სალაფიზმის მიმდევრებისათვის კრიტიკის ობიექტი არის არა მართმადიდებელი ქრისტიანი, არამედ „ტრადიციული ისლამის“ მიმდევარი. სალაფიტები გამოხატავენ სურვილს, სახელმწიფომ „დაინახოს ისინი, ითანამშრომლოს მათთან... მაგრამ არა უშიშროების სამსახურების კონტროლით“. ისინი სახელმწიფოებრივი ცნობიერებით ხაზს უსვამენ თავიანთ ლოიალობას და ქვეყნის ევროინტეგრაციაც მათთვის ერთგვარი მოლოდინია იმისა, რომ სახელმწიფო უკეთ დაიცავს რელიგიის თავისუფლებას და სალაფიტთა უფლებას, იყვნენ „ასეთი მუსლიმები“.

სალაფიტების მხრიდან სახელმწიფოს პოლიტიკის კრიტიკის მთავარი საგანი დღეს ტრადიციული ისლამის მხარდაჭერა და სალაფიტების „საშიშად“ გამოცხადებაა. 2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდეგ „სალაფიზმის ჯამაათმა“ დაკარგა ძველი კავშირი მთავრობასთან და ახალმა მთავრობამ „მოკავშირედ აირჩია“ „ტრადიციული ისლამის“ მიმდევრები. 2012 წლამდე სახელმწიფო პოლიტიკამ შექმნა ერთგვარი სტაბილურობა ხეობაში. მიკრო დონზე ხეობა ისევ იზოლირებული დარჩა. ქისტების ინტეგრაცია და მათი ლოიალობა სახელმწიფოს მიმართ ისტორიული მოცემულობით და ინერციით გრძელდებოდა, მაგრამ ის თანამდროვე გამონვევებს ველარ უმკლავდება („ისლამური სახელმწიფო“, რელიგიური რადიკალიზმის ზრდა). ეს ფაქტორი 2012 წლამდეც და შემდეგაც არცერთ მთავრობას არ გაუთვალისწინებია.

ქისტებისათვის „ისლამურ სახელმწიფოში“ ბრძოლის მოტივი შეიძლება იყოს არა მხოლოდ რადიკალიზმი, იმედგაცრუება ან ფინანსური დაინტერესება, არამედ ნაციონალური ინტერესები. ქისტები და ჩეჩნები სირიაში, დიდი ალბათობით, ომობენ რუსეთთან და არა დასავლეთთან. ამას ადგილობრივი ქისტებიც აღნიშნავენ ინტერვიუში.

სად არის რადიკალიზმი და ვის ხიბლავს „ისლამური სახელმწიფო“

ისლამური რადიკალური დაჯგუფების მობილიზების მიზეზად ყველაზე ხშირად ასახელებენ გლობალიზაციას, სეკულარულ საზოგადოებაში რელიგიური იდენტობის კრიზისს, ორიენტაციის, იდეოლოგიის, საზრისის დეფიციტს. ზოგადად, ფუნდამენტალიზმის აღზევების მიზეზი საზოგადოებაში მიმდინარე გარდატეხის პროცესია. რელიგიური რადიკალიზმი (ან როგორც მას ოლივიე რუა უწოდებს, „რადიკალიზაციის ისლამიზაცია“) მიკრო დონეზე აიხსნება სოციალურ-პოლიტიკურად მარგინალიზებული ჯგუფების მიერ კრიზისული მდგომარეობის განცდით. ახალი ღირებულებები და იდეოლოგია ეჭვქვეშ აყენებს ტრადიციულ ნორმებს. გარდაქმნის პროცესი გარკვეული ჯგუფების გარიყვას, უგულვებელყოფას იწვევს. ეს ორმხრივი პროცესია. როდესაც ტრადიციონალისტურად განწყობილები ვერ ეგუებიან პლურალიზმს, ღირებულებების ტრასნფორმაციას,⁸² ისინი ან ემიჯნებიან მას, ან მის შესაცვლელად მობილიზდებიან. მათ რადიკალურ შეხედულებებს მისცა ლეგიტიმაცია რელიგიამ და არა – პირიქით. რადიკალიზმით, უტოპიური იდეოლოგიის მსახურებით („ისლამური სახელმწიფო“) ფუნდამენტალისტურმა ჯგუფებმა საკუთარი ადგილი მოიპოვეს და დაძლიეს უფუნქციობა, შეიგრძნეს რომ, მნიშვნელოვანი მისია ეკისრებათ, – ასე ხნის რიზებროდი ფუნდამენტურ მოძარობას 70-იანი წლების ირანში.⁸³ ევროპის კონტინენტზე მეორე თაობის მიგრანტებში „რელიგიების დაბრუნებას“

⁸² Meyer, Thomas: Die Politisierung kultureller Differenz, Fundamentalismus, Kultur und Politik, in: Bielefeldt, Heiner/Heitmeyer, Wilhelm (eds.), Politisierte Religion und Erscheinungsformne des modernen Fundamentalismus, Frankfurt am Main, 1998, 37-66

⁸³ Riesebrodt, 1990

რუა იმით ხსნის, რომ „ისლამმა ხალხის გარკვეულ ჯგუფებს თვითშეგნების ამაღლების განცდა გაუძლიერა, ცოდნისა და გამოცდილების რეალიზების საშუალება მისცა, შეაძლებინა საზოგადოების მიერ მათთვის გამოცხადებული უარის დამარცხება.“⁸⁴ ეს თეზისი ვალიდურია თარხან ბათირაშილის ისტორიის შემთხვევაშიც. ქართულენოვან ვიკიპედიაში იგი მოხსენიებულია, როგორც ჯიშადისტი საქართველოდან და ჯეიმ-ალ-მუჰაჯირინ ვალ-ანსარის (არაბ. جيشا مهاجرينو الانصار; ინგლ. Jaish al-Muhajireen wal-Ansar) ლიდერი, რომელიც სირიის სამოქალაქო ომში ასადის რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდა⁸⁵. „ბათირაშილი პანკისის ხეობის სოფელ ბირკიანში ცხოვრობდა. გაიზარდა ქრისტიანი მამისა და მუსლიმი დედის ოჯახში. მძიმე ბავშვობა ჰქონდა. მოზარდობის ასაკში თარხანი ჩეჩენ ბოვეიკებს რუსეთის საზღვრის გადაკვეთაში ეხმარებოდა. სკოლის დამთავრების შემდეგ ქართულ არმიას შეუერთდა, სადაც მსახურობდა დაზვერვის სერჟანტად. მონაწილეობა აქვს მიღებული ჩეჩნეთის მეორე ომსა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში რუსეთის წინააღმდეგ.“⁸⁶ ერთადერთი ფოტო ვიკიპედიაში არის სურათი სათაურით „ბათირაშილი 2008 წლის აგვისტოს ომში.“ კვლევის ფარგლებში ექსპერტებმა და ქისტებმა არაერთგზის აღნიშნეს, რომ წარმატებული, პროფესიონალი ჯარისკაცი 2008 წლის შემდეგ უმუშევარი დარჩა და ამიტომ ის ჯერ თურქეთში მიდის, შემდეგ სირიაში. ბათირაშილიმა საქართველოში თავი ველარ დაიმკვიდრა, უფუნქციოდ დარჩა, რასაც დაემატა მძიმე ეკონომიკური და სოციალური ფონი.

პანკისში რადიკალიზმის ტენდენციების კვლევამ დაადასტურა, რომ ის ვინც, გლობალური ჯიშადით, დაემით „მოხიბლულები“ არიან, დაშორებული არიან ეროვნულობას და ლოკალურ რელიგიურ ერთობას. „დაემი ვირტუალურ ჯიშადს ემყარება და თითქმის არ ახსენებს კონკრეტულ კონფლიქტებს. მისი სამიზნე არიან ახალგაზრდები, რომელთათვისაც ეთნიკური, ტრადიციული კულტურა და ისტორია თითქმის არაფერს ნიშნავს. ისინი ნებისმიერ საზოგადოებასა თუ სიტუაციაში ანტიგანწყობით, დაპირისპირების სურვილით გამოირჩევიან.“⁸⁷ პანკისელი ქისტებისა და ევროპაში მცხოვრები მუსლიმების რადიკალიზაციის მიზეზი განსხვავებული შეიძლება იყოს, თუმცა ქისტებს კავშირი აქვთ საზღვარგარეთ მყოფ თავიანთ ნათესავებთან და მეგობრებთან. უცხოეთში „მოდერნიზაციაზე გაბრაზებული ჩეჩენთა თაობა“ ცხოვრობს. ამიტომ ისინი ახლოს არიან მათ განწყობებთან. ქისტები, როგორც პირადს, ისე განიცდიან სხვა ქვეყნაში მიმდინარე მოვლენებს. მათი შეფასებით, „ახლა მუსლიმებს ყველგან ჩაგრავენ“. ამ განცდას ამძაფრებს მედია საშუალებებით მუსლიმების უარყოფითი კუთხით წარმოჩენა. გარდა ამისა, თანამედროვე ტექნოლოგიები, ინტერნეტი, „გლობალური ქსელი“ ხელმისაწვდომს ხდის ჰიბრიდული იდეოლოგიების გავრცელებას. როგორც მთელ მსოფლიოში, პანკისშიც „გლობალური ისლამი“ ნიშნავს „ვირტუალურ ისლამურ სამაყაროსთან“ უფრო ძლიერ კავშირს, ვიდრე ადგილობრივ ისლამურ (სალაფიტურ) თემთან. დაემის იდეოლოგია ყველაზე ადვილად ინტერნეტით ვრცელდება.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ქისტების მობილიზების ანუ აქტიური სალაფიზმის მიზეზი ნაკლებად არის ადგილობრივი მარგინალობის განცდა; თვით მიურიდიზმი სალაფიტების

⁸⁴ Roy, 2016

⁸⁵ 2014 წლის სექტემბერში აშშ-ის ხელისუფლებამ აბუ ომარალ-შიშანი „შავ სიაში“ შეიყვანა. თარხან ბათირაშილი გარდაიცვალა 2016 წლის 14 მარტს, ის ამერიკული ავიაციის იერიშს ემსხვერპლა

⁸⁶ https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%91%E1%83%A3_%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0_%E1%83%90%E1%83%9A-%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98

⁸⁷ Roy, 2016

მხრიდან თეოლოგიური კრიტიკის ფარგლებს არ სცდება. სალაფიტა უმრავლესობა პანკისში თვლის, რომ სირიაში წასულებს ბოლოდმე არ ჰქონდათ გაცნობიერებელი თავიანთი ნაბიჯები. „იმ ადამიანებს (ვინც სირიაში წავიდნენ) ცოტა სხვანაირად რომ ეფიქრათ, აქაურებიც რომ ჩაღრმავებოდნენ მოვლენებს...სხვაგვარად იქნებოდა...აქ მოდიან, რომ გამოგვიყენონ,“ – რესპოდენტის ამ სიტყვებში გამოხატულია სირიაში წასულების მეტ-ნაკლები კრიტიკაც და რადიკალური ისლამის იდეებისთვის სხვებისათვის პასუხიმგებლობის დაკისრებაც.

ჯიჰადზე საუბრისას ერთმანეთს კვეთს შეხედულებები: „ისლამი ძალადობას გმობს“, „სირიაში წასულების განკითხვა არ შეიძლება, ეს მათი გზაა, ღმერთის გზა“, ქისტები „გახდნენ გლობალური თამაშის ნაწილი...გამოგვიყენეს.“ ეს ბოლო ფრაზა, ალბათ, ყველაზე ზუსტად აღწერს პანკისის ხეობის ვითარებას. სალაფიზმის მიმდევრებში ზემოთ განხილული სამი ჯგუფი მკრთალად, მაგრამ მაინც იკვეთება. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ უმრავლესობა ესაა პასიური რელიგიური თემი, რომელსაც არ აქვს სარწმუნოებით მოტივირებული პოლიტიკური მიზანი, გმობს ძალადობას და ომს.

დასკვნა

დამოუკიდებელ საქართველოში პოლიტიკური გარდაქმნების მძიმე პროცესი, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება და, ზოგადად, პოსტსაბჭოთა საზოგადოებრივი კირიზისი პანკისის ხეობაზეც აისახა. აქ მცხოვრები ქისტები, ყველაზე ინტეგრირებული ეთნიკური ჯგუფია საქართველოში. ქართული ენის ცოდნა, ისტორიულად ინტენსიური სოციალური და კულტურული ურთიერთობები, ადგილობრივი და ჩამოსახლებული ხალხების კულტურული ტრადიციები ხელს უწყობდა ამ ორ ერის სიახლოვეს და ინტეგრაციას. XIX საუკუნეში პანკისში დასახლებულ ქისტებში ტრადიციულად გავრცელებული იყო სუფიური ისლამი, ქუნთ-ჰაჯის მიმდევრობა (მიურიდიზმი). თუმცა ქისტების რელიგიურობა სინკრეტული იყო, რაც გამოიხატებოდა ისლამის, ხალხური ქრისტიანობის და წარმართული რწმენა-წარმოდგენების ერთობაში. რელიგიური ველი პანკისში სრულიად იცვლება საქართველოს დამოუკიდებლობის შემდგომ პერიოდში. ესაა ტრადიციული რელიგიური ფორმების (სუფიზმი, ქუნთ-ჰაჯი) შესუსტება, ახალი სარწმუნოებრივი იდეების გავრცელება (სალაფიზმი), რელიგიური პრაქტიკის ზრდა. ბოლო ხანებში კი რელიგიური სურათის ცვლილებას პანკისში ემატება პანკისელი ქისტების „ისლამურ სახელმწიფოსთან“ კავშირი. ლოკალური რელიგიური კულტურა გლობალურ ისლამსა და პოლიტიკურ მოვლენებთან გადაჯაჭვული აღმოჩნდა. რელიგიურობის რენესანსი პანკისში არის ნაწილი გვიანმოდერნის პერიოდში „რელიგიების დაბრუნების“ საერთო ტენდენციის და შედეგი უშუალოდ ხეობაში მიმდინარე პოლიტიკურ-რელიგიური ტრანსფორმაციისა.

სარწმუნოება ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო პანკისში მცხოვრები ქისტებისათვის. ისლამი მართმადიდებლური რუსეთის პირისპირ აღიქმებოდა იდენტობის ერთგვარ მარკერად და ფარად. მოგვიანებით საბჭოთა საქართველოში მიურიდიზმის პრაქტიკის შენარჩუნება ნიშნავდა ვაინახობისადმი ერთგულებას. 1999 წლიდან სალაფიზმის იდეების გავრცელებამ ხეობაში შეარყია აქ არსებული ადათები. სალაფიზმი, რომელიც უარყოფს ხალხურ წეს-ჩვეულებებს, წმინადების თაყვანისცემას, სუფიზმს, თეოლოგიურად დაუპირისპირდა პანკისში ტრადიციულად გავრცელებულ რელიგიურ პრაქტიკას. დროთა განმავლობაში „სუფთა ისლამის“ ქადაგება გამოდის წინა პლანზე, თეოლოგიური განათლების მქონე, ყურანის და არაბულის მცოდნე იმამები უფრო ავტორიტეტული ხდებიან ხეობაში. დღეს ახალგაზრდა სალაფიზმის მიმდევარი ქისტის იდენტობის მარკერი მარტო ვაინახობა არ არის. ის ჯერ მუსლიმია და შემდეგ ვაინახი. რელიგიური პრაქტიკა და რელიგიური იდენტობა ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდა ქისტებისათვის. ეს არის რელიგიური ტრანსფორმაციის შედეგი. სალაფიზმი საზოგადოებაში თავისებურ რელიგიურ კულტურას ქმნის. იგი ადგილობრივ ეთნიკურ-რელიგიურ საბურველშია გახვეული. ამიტომ პანკისშიც სალაფიზმის რელიგიურ იდენტობას არ აქვს გამოცლილი კულტურული საფუძველი. ვაინახობა და ქართველებთან ურთიერთობა მათი კოლექტიური მეხსიერების მნიშვნელოვან ნაწილად რჩება. „ორი ერი ვართ კავკასიაში, ვინც ქართულ-იბერიულ ოჯახს განვეკუთვნებით, ქართველები და ვაინახები“, – აღნიშნავს სალაფიზმის მიმდევარი მამაკაცი.

სალაფიტების რელიგიური თემი არ არის შესწავლილი და ისინი ყველანი ან ვაჰაბისტებად მოიხსენიებიან, ან რადიკალებად. რომელი ჯგუფია ვაჰაბიზმის მიმდევარი, რომელი – ჯიჰადის მომხრე, არ არის დიფერენცირებული. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უმრავლესობა სალაფიტი ქისტებისა მშვიდ, პასიურ ჯგუფს

მიეკუთვნება და მას არ აქვს პოლიტიკური მიზნები. მათთვის მნიშვნელოვანია რელიგიური რეფორმა, რაშიც იგულისხმება არა ისლამის განახლება, არამედ ისლამის სათავეებთან დაბრუნება და „სუფთა ისლამის“ აღიარება. რელიგიური ტრანსფორმაცია გამოიხატება რელიგიური პრაქტიკის, კონსერვატიული რელიგიური შეხედულებების აღმავლობით.

რატომ გახდა სასურველი ქისტი სალაფიტებისათვის „ისლამურ სახელმწიფოსთან“ საკუთარი ცხოვრების დაკავშირება? ეს კითხვა დიდი პრობლემატიკის ნაწილია, საჭიროა გაგრძელდეს ხეობაში პოლიტიკური და სოციალური ფონის შესწავლა. ასევე აუცილებელია სირიაში წასული მებრძოლების ბიოგრაფიის, იდენტობის შესწავლა. ზოგადად, ფუნდამენტალიზმის კლასიკური პარადიგმით, რადიკალიზებული ჯგუფები უფრო მეტად ურბანულ დასახლებაში ყალიბდება და მათში ერთიანდებიან ის ადამიანები, რომელთაც სწრაფი მოდერნიზაციის პირობებში არ ძალუძთ ამა თუ იმ „იდენტობაში“ ჩანერა. რელიგიური რადიკალიზმის და „ისლამური სახელმწიფოს“ პოპულარობის ტენდენციები უფრო სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს. საფუძვლიანად გამოსაკვლევი, არის თუ არა „მოდერნიზაციის და სიახლის“ წნეხი არაურაბანულ გარემოში მცხოვრები ქისტების რადიკალიზმის მიზეზი.

პანკისში რადიკალიზმის კვლევამ დაადასტურა, რომ ის, ვინც „მოხიბლული“ გლობალური ჯიჰადით, დაემით, ყველაზე უფრო დაშორებულია ეროვნულობასა და კონკრეტულ რელიგიურ ერთობას (იქნება ეს სალაფიზმი თუ მიურიდიზმი).

წინამდებარე კვლევის შედეგებიდან გამომდინარე სირიაში წასვლის რამდენიმე მიზეზი გამოიკვეთა: ა) რელიგიურ-იდეოლოგიური (მუსლიმების დახმარება, მუსლიმები იჩაგრებიან მსოფლიოში), რომლის წყარო ხშირად ინტერნეტი და საზღვარგარეთ მყოფი ახლობლების შეხედულებებია. ამ უკანასკნელ ჯგუფში მალაღია გაუცხოება სეკულარულ საზოგადოებასთან და მეტი კავშირია რადიკალურ ჯგუფებთან; ბ) ფინანსური ინტერესი. დაეში თავის მომხრეებს ღიად ჰპირდება პრივილეგიებს, ფინანსურ კეთილდღეობას; გ) ადგილობრივ თემში მარგინალიზებული მდგომარეობა, წარუმატებლობა, კრიზისულობის განცდა; დ) ნაციონალური (სირიაში მებრძოლი ქისტებისთვის მტერი არის რუსეთი და ეს ბრძოლა მათთვის რუსეთ-ჩეჩნეთის ომის გაგრძელება).

ამრიგად, რადიკალიზაციის მიზეზებად შეიძლება ვივარაუდოთ, როგორც ზოგადი ისლამური ნეოფუნდამენტალიზმის გავრცელება და მისი გამოძახილი პანკისში, ასევე რეაქცია ლოკალურ პოლიტიკურ და გლობალური ისლამი სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისზე. სალაფიზმმა პანკისში შეიძლება მომავალშიც შეინარჩუნოს კონსერვატიულობა და არ მოხდეს მისი პოლიტიზირება. მაგრამ სანამ იარსებებს დაემის (გლობალური ისლამის) საფრთხე, ყოველთვის იქნება რისკი იმასა, რომ რომელიმე მუსლიმი შეეცდება საკუთარი თავის რეალიზაციას ჯიჰადში, „ისლამურ სახელმწიფოში“.

ადგილობრივი რელიგიური თემის მშიდობიანი კულტურის რესურსის გამოყენებით და სახელმწიფოს სწორი პოლიტიკით ეს რისკი შეიძლება მკვეთრად შემცირდეს.

სახელმწიფოს პოლიტიკა ამ რეგიონში ირიბად დაკავშირებულია საქართველოს საერთაშორისო პოლიტიკასთან (რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, დაეში) და ამავდროულად აისახება ქვეყნის შიგნით სამოქალაქო ინტეგრაციაზე. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე სახელმწიფოსათვის პანკისის ხეობა ან „უკონტროლო ტერიტორია“,

ან „დავინყებულ რეგიონი“. შევარდნაძის პერიოდში პანკისი იყო პარამილიტარისტული ჯგუფების, ნარკოტიკებით ვაჭრობის ადგილი, ჩეჩენი ბოევიკების თავშესაფარი, რადგანაც სახელმწიფო ვერ ამყარებდა კონტროლს რეგიონში. სააკშვილის პერიოდში რადიკალურად შეიცვალა სიტუაცია და ხეობა გათავისუფლდა შეიარაღებული და კრიმინალური დაჯგუფებებისაგან, მაგრამ ეს პოლიტიკა შემოიფარგლებოდა მხოლოდ უსაფრთხოების საკითხებით და სრულიად უგულვლყოფილი იყო პანკისის ხეობაში საინტეგრაციო პოლიტიკა, რომელიც გაითვალისწინებდა რეგიონში მიმდინარე რელიგიური ტრანსფორმაციის პროცესს. დღეს პანკისში სახელმწიფო პოლიტიკა დაემის აღზევების კონტექსტის ფარგლებს თითქმის არ სცილდება. სამთავრობო უწყებებს არ აქვთ სიღრმისეულად შესწავლილი რეგიონი და მათი ნაბიჯები შესაბამისად არ არის ეფექტური. სალაფიზმის მიმდევრებს ამბივალენტური დამკიდებულება აქვთ მთავრობის მიმართ, რაც განპირობებულია ბოლო წლების გამოცდილებით. ერთი მხრივ, ისინი გამოხატავენ სურვილს, იყვნენ „საქართველოს სრულფასოვანი მოქალაქეები“, მათში მაღალია მოქალაქეობის განცდა. მეორე მხრივ, ისინი არ ენდობიან პოლიტიკოსებს. ამ უნდობლობის ტენდენციას ინვევს: 1) არასათანადო სახელმწიფო პოლიტიკა; 2) ქართულ საზოგადოებაში არსებული დაბალი სამოქალაქო ცნობიერება; 3) მთავრობასა და პანკისელებს შორის უშიშროების სამსახურის მედიატორობა; 4) პანკისის ხეობაში ხელისუფლების მიერ ერთი რომელიმე ჯგუფის პრივილეგირება და მეორე ჯგუფის მარგინალიზება.

დღეს, ისტორიულ-კულტურული წანამძღვრების, რელიგიური იდენტობის გათვალისწინებით და სწორი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების შემდეგ ქისტები (როგორც სალაფიზმის, ასევე ტრადიციული ისლამის მიმდევრები) შეიძლება გახდენენ ინტეგრაციის საუკეთესო მაგალითი.

ბიბლიოგრაფია

- Akaev, Vakhit: Religious–Political Conflict in the Chechen Republic of Ichkeria, <http://www.ca-c.org/dataeng/05.akaev.shtml> ბოლო წვდომა: 30.09.2016
- ბარანი, ზეინო: ტერორიზმი და კავკასია: რუსეთი საქართველოში? სივილ ჯორჯია, 04.10.2001, <http://www.civil.ge/geo/article.php?id=169> ბოლო წვდომა: 1.10.2016
- ბატონიშვილი, თეიმურაზ: ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ეს იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა, სანკტ-პეტერბურგი 1848, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/65894/1/Teimuraz_Batonishvili_Istoria.pdf
- Bennigsen, Alexandre / Wimbush, Enders, Muslims of the Soviet Empire: A Guide, Bloomington: Indiana University Press, 1986.
- გოგუაძე, გიორგი/კაპანაძე, სერგი: დაეში და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები, პოლიტიკის დოკუმენტი, საქართველოს რეფორმების ასოციაცია, 2015 წლის ნოემბერი, <http://grass.org.ge/wp-content/uploads/2015/11/daesh-da-skhvagamotsvevebi.pdf> ბოლო წვდომა: 1.10.2016
- Elbasani, Arolda / Roy, Olivier (eds.): The Revival of Islam in the Balkans. From Identity to Religiosity, New-Yoork, 2015
- Gugler, Thomas K.: Die jungen Islamisten Pakistans. Die neue Friedensfähigkeit des Neo-Fundamentalismus, W & F Wissenschaft und Frieden, 2/2010, 31-34, <http://www.wissenschaft-und-frieden.de/seite.php?artikelID=1616>
- Ferris-Rotman, Amie: ANALYSIS-Sharia law threatens Moscow control in Muslim Chechnya, Aug 26, 2010, <http://www.reuters.com/article/idUSLDE67O0S0> ბოლო წვდომა 1.1.2016
- ლიკლიკაძე, კობა: "სტრეტფორი" პანკისის ხეობას ტერორისტთა სამოთხეს უწოდებს! – საპირველპრილო ხუმრობა თუ რეალური სტრატეგიული საფრთხე?, <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1540776.html> ბოლო წვდომა: 1.11.2016
- მარგოშვილი ლეილა: პანკისის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა), თბილისი, 2002
- მარგოშვილი, ლეილა: პანკისელი ქისტების წეს-ჩვეულებები და თანამედროვეობა, თბილისი, 1985
- Meyer, Thomas: Die Politisierung kultureller Differenz, Fundamentalismus, Kultur und Politik, in: Bielefeldt, Heiner/Heitmeyer, Wilhelm (eds.), Politisierte Religion und Erscheinungsformen des modernen Fundamentalismus, Frankfurt am Main, 1998, 37-66
- Münster, Anna: Growing Islamic Extremism in Central Asia and the Caucasus – Situation and Outlook, <https://www.worldwatchmonitor.org/research/reportcentralasiaislamicextremism.pdf>
- მჭედლიძე, კახა: გაითამაშებს თუ არა რუსეთი პანკისის პრობლემის გამო ლიბანის სცენარს, რადიო „თავისუფლება“, 30.09.2002: <http://www.tavisupleba.mobi/a/1523663.html> ბოლო წვდომა: 1.10.2016
- Riesebrodt, Martin: Fundamentalismus als patriarchalische Protestbewegung. Amerikanische Protestanten (1910-28) und iranische Schiiten (1961-79) im Vergleich, Tübingen, 1990

- Roy, Olivier: in: Elbasani, Arolda / Roy, Olivier (eds.): The Revival of Islam in the Balkans. From Identity to Religiosity, New-Yoork, 2015, 242-251
- Roy, Olivier: Globalized Islam: The Search for a New Ummah, New York: Columbia University Press, 2006
- Roy, Olivier: The Failure of Political Islam, Cambridge, MA: Harvard University Press, 1998
- რუხაძე, ოქროპირ: საქართველოს ხელისუფლება პანკისის ხეობის პრობლემის მოგვარებას ცდილობს, რადიო „თავისუფლება“, 18.01.2002, <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1518280.html> ბოლო წვდომა: 30.09.2016
- Sanikidze, George / Walker, Edward W.: Islam and Islamic Practices in Georgia, Berkeley Program in Soviet and Post-Soviet Studies, Working Paper Series, University of California: Berkeley, 2004
- სანიკიძე, გიორგი: ისლამი და მუსლიმები თანამედროვე საქართველოში, თბილისი, 1999
- უტიაშვილი, შოთა: პატარა სახელმწიფო და დიდი მეზობელი: საქართველო უსაფრთხოების ძიებაში, ჟურნალი „ახალი აზრი“ 2003 5(11)
- თევზაძე, ქეთი: ღირსეული პარტნიორი – 2015, 20.05.2015: <http://georgianreview.ge/2015/05/ghirseuli-partniori/?lang=ge> ბოლო წვდომა 30.09.2016
- სეფაშვილი, გიორგი: უშიშროება პანკისის შესახებ საიდუმლო ინფორმაციას აქვეყნებს, სივილ ჯორჯია, 19.02.2004: <http://civil.ge/geo/article.php?id=2464> ბოლო წვდომა: 1.10.2016
- საქართველოს სახალხო დამცველთან შექმნილი საზოგადოებრივი საბჭოს ანგარიში: 2012 წლის 28 აგვისტოს სოფელ ლაფანყურთან, ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეციალური ოპერაციის შესახებ. 2014 წ.: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2102.pdf>
- Bureau of Counterterrorism, Country Reports on Terrorism 2014, <http://www.state.gov/documents/organization/239631.pdf>
- საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, 04.04.2014, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2319468>
- პრეზიდენტის საჯარო შეხვედრა პანკისის ხეობაში 11 წლის შემდეგ, კახეთის საინფორმაციო ცენტრი, <http://ick.ge/articles/25420-i.html>
- არეშიძე, მამუკა: ვაჰაბიზმი საკმარისი ძალაა, რომ ხეობაში არაჯანსაღი მდგომარეობა შეიქმნას, კახეთის საინფორმაციო ცენტრი, 10.08.2013, <http://ick.ge/rubrics/society/15464-i.html> ბოლო წვდომა: 1.11.2016
- Interview with Olivier Roy, „The Islamization of Radicalism“, 22.06.2016 http://www.slate.com/articles/news_and_politics/interrogation/2016/06/olivier_roy_on_isis_brexit_orlando_and_the_islamization_of_radicalism.html ბოლო წვდომა: 1.11.2016